ყოველკვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№2 (1592) 19 იანვარი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საქართველოში მედიკამენტები გაიაფდება

ინტელიგენციის ფაქტორი



როგორ გაჩნდა ტერმინი „წითელი ინტელიგენცია“ და რატომ სარგებლობდნენ სამთავრობო პრივილეგიებით ე.წ. შემოქმედებითი ფეისები

გიორგი გუგავა: „დავრჩით მარტოობაში და თვითგვემა გამოგვდის“

რატომ გადაწყვიტა შალვა ნათელაშვილმა პარლამენტში შესვლა

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

არჩილ გამზარდია: „თუ მელია პარტიას დატოვებს, ენმ-ს ამომრჩევლის 7-10% გაჰყვება“

რატომ ცდილობს მიხეილ სააკაშვილი ნიკა მელიას პოზიციების შესუსტებას

ინტელიგენციის ფაქტორი

ნათია დოლიძე



როგორ გაჩნდა ტერმინი „წითელი ინტელიგენცია“ და რატომ სარგებლობდნენ სამთავრობო პრივილეგიებით ე.წ. შემოქმედებითი ფეისები

კულტურის სამინისტროში სკანდალია – დორეულის კრებულში, შემთხვევით, ანა კალანდაძის ლექსები მოხვდა. როგორც უწყებამ განმარტა, შეცდომა ლიტერატურის მუზეუმის მენეჯმენტის „კისერზეა“. თავის მხრივ, განცხადება ლაშა ბუღაძემაც გააკეთა. ერთი შეხედვით, ბეჭდურ პროდუქციაში შეცდომა გამორიცხული არაა, მაგრამ, როცა ერთი მწერლის შემოქმედებას მეორეს მიაწერ, ეს უკვე სხვა რამეა, თუმცა ახლა ამ შეცდომის დეტალებს არ განვიხილავთ, რადგან საქმე უფრო შორს წავიდა – მწერლები, პოეტები და ხელოვნების სხვა სფეროს წარმომადგენელთა ნაწილი ანუ ინტელიგენცია კულტურის მინისტრის გადადგომას ითხოვენ და საამისოდ პეტიციაც შეადგინეს. ეს კი აჩენს ეჭვს, რომ ჩვეულებრივი, შემოქმედებითი „ჩეპეს“ გამოყენებას ვიღაცები პოლიტიკური მიზნებით ცდილობენ. ყველაფერი ეს კი რაღაცნაირად წარსულს გვახსენებს, იმ წარსულს, როცა ამა თუ იმ თემის პედალირებას ინტელიგენცია იწყებდა. როგორც ჩანს, ოპოზიცია დღეს, სწორედ ამ „მავნე პრაქტიკის“ გამოყენებას ცდილობს.

ისე, ადრეც და ახლაც ინტელიგენციის ნაწილი თავის მდგომარეობას პირადი კეთილდღეობისთვის იყენებდა და, როგორც ჩანს, ახლაც ასეა, თუმცა ყველაფერი ეს ცარიელ სიტყვებად რომ არ დარჩეს, მოდით, ცოტა ხნით წარსულში დავბრუნდეთ და ქართულ ინტელიგენციას თვალი, ქართულ ბეჭდურ თუ ინტერნეტმედიაში, სხვადახვა დროს გამოქვეყნებული მასალებით გადავავლოთ.

„წითელი და ვარდისფერი ინტელიგენცია“ – ასე ჰქვია წერილს, რომელიც „რადიო თავისუფლების“ ვებ-გვერდზე 2011 წლის 17 ივნისს გამოქვეყნდა. ავტორი, გიორგი მაისურაძე სტატიას მერაბ მამარდაშვილის ინტერვიუს ფრაგმენტით იწყებს (ინტერვიუ 1989 წელსაა ჩაწერილი): „ეშმაკი გვათამაშებს, როდესაც არაზუსტად ვაზროვნებთ. აზროვნების სიზუსტე არის იმ ადამიანის ზნეობრივი ვალდებულება, ვინც აზროვნებასთანაა ნაზიარები. და ახლა, ამ კუთხიდან შევხედოთ მე-20 საუკუნეს, როდესაც მასობრივი იდეოლოგიური წარმოება აყვანილ იქნა სახელმწიფო მშენებლობის დონეზე და დაემთხვა კიდეც მას... ჩვენ ვხედავთ ინტელიგენციის ღალატის ფანტასტიურ სურათს“.

მამარდაშვილი იქვე დასძენს, რომ ინტელიგენციამ საკუთარ პროფესიულ ვალდებულებებს უღალატა. „ღალატი“ კი სწორედ იდეოკრატიული სახელმწიფოების სამსახურში ჩადგომა იყო, რამაც ინტელიგენცია მე-20 საუკუნის ტოტალიტარული სახელმწიფოების ფაქტობრივ თანაავტორად აქცია. ეს თანაბრად ეხება, როგორც საბჭოთა, ასევე, იმ ევროპელ ინტელექტუალებსაც, რომლებიც არანაკლები ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ დასავლეთის იდეოკრატული რეჟიმების მშენებლობაში.

... ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ინტელიგენციის ერთი ნაწილი ბოლშევიკების აქტიური მხარდამჭერი გახდა, ნაწილმა კი ან ემიგრაციით უშველა თავს, ან ახალი წყობილების კრიტიკა სცადა, რის გამოც ლენინის ცნობილი სიტყვები – „Интеллигенция не мозг народа, а говно народа“ („ინტელიგენცია ხალხის ტვინი კი არა, ხალხის ნეხვია“) – დაიმახსოვრა. ამასთან, საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა საკუთარი „წითელი“ ინტელიგენციის შექმნას, რომელიც ხელისუფლების ერთგული და მისი იდეოლოგიის გამტარებელი იქნებოდა. ეს პროექტი, საბოლოოდ, სტალინის მმართველობის დროს განხორციელდა, როდესაც სახელმწიფოს იდეოლოგიურ აპარატში ინტელიგენციის ინტეგრაცია მოხერხდა, რის შედეგადაც ახალი საზოგადოებრივი კლასი – საბჭოთა ინტელიგენცია გაჩნდა. რამდენადაც მეცნიერება და ხელოვნება საბჭოთა სახელმწიფოსათვის სტრატეგიული სფერო იყო მტრულ, კაპიტალისტურ სამყაროსთან კონკურენციისა თუ საკუთარი მოსახლეობის ინდოქტრინაციისათვის, შესაბამისად, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებმა საზოგადოებრივ იერარქიაში პრივილეგირებული ფენის სტატუსი მოიპოვეს, თუმცა ინტელიგენციის პრივილეგირებულობა უფრო ცარიელი სტატუსი იყო, ვიდრე რეალობა: ბინები, აგარაკები, პრემიები და ა.შ. მხოლოდ ყველაზე გამორჩეული და ხელისუფლებასთან განსაკუთრებით დაახლოებული ადამიანების პრივილეგია იყო, საშუალო საბჭოთა ინტელიგენტი კი ეკონომიკურად უთანაბრდებოდა მუშათა კლასს, ხოლო რიგითი საბჭოთა საქმოსანი ან კორუმპირებული ფუნქციონერი, თავისი შემოსავლით, ბევრად აღემატებოდა საბჭოთა მეცნიერის ან ხელოვანის ეკონომიკურ მდგომარეობას. პრესტიჟულობის განმსაზღვრელი კი არაფიზიკური შრომა და კულტივირებულობის სტატუსი იყო, რომელსაც ხშირად, მძიმე გაჭირვების პირობებშიც, ფსიქოლოგიური კომპენსაციის ფუნქცია ჰქონდა.

გვიანსაბჭოთა ხანაში, ინტელიგენციის ერთგვარი ინფლაციაც კი დაიწყო: ასეთი სტატუსის მქონე ადამიანთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ მათთვის ეკონომიკურად სუსტ და ტოტალურად კორუმპირებულ საბჭოთა სახელმწიფოს იმის რესურსები აღარ ჰქონდა, მომრავლებული ინტელიგენტები ბინებითა თუ სანატორიუმების საგზურებით უზრუნველეყო. შესაბამისად, ყოფითი კეთილდღეობისთვის, ინტელიგენტებიც იძულებულნი იყვნენ ისევე ჩაბმულიყვნენ კონიუნქტურისა და კორუფციის ფერხულში, როგორც საბჭოთა საზოგადოების ყველა სხვა ფენის წარმომადგენელი.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ინტელიგენცია ორი, სრულიად განსხვავებული მენტალობისა და სტატუსის ჯგუფად იყოფოდა: ერთი მხრივ, კორუმპირებული და პრივილეგიებისათვის მებრძოლი ნომენკლატურა, რომლის „ელიტარულობის“ განმსაზღვრელიც არა იმდენად შემოქმედებითი მიღწევები, რამდენადაც მათი ძალაუფლების სტრუქტურებში ყოფნა და იდეოლოგიურ კონიუნქტურასთან მორგება იყო და, მეორე მხრივ, იმ მეცნიერების, მწერლების, მუსიკოსების, მხატვრების თუნდაც მცირერიცხოვანი ნაწილი, რომლებიც ზოგჯერ უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებაში ყოფნის ფასად, საკუთარი საქმით იყვნენ დაკავებულნი და პოლიტიკურ კონიუნქტურას ემიჯნებოდნენ. სწორედ ინტელიგენციის ეს კატეგორია – არა „კაცური კაცები“, მხოლოდ თავაზიანობითა და „სინაზით“ რომ გამოირჩეოდნენ კაი პურის მჭამელი და დედის მაგინებელი „ნამდვილი ქართველებისგან“ – იყო საბჭოთა ხანაში კორუმპირებული საზოგადოების დაცინვისა და აბუჩად აგდების ობიექტი.

„ინტელიგენციამ“ ახალი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის ნგრევის დასკვნით სტადიაში – 80-იან წლებში შეიძინა, როდესაც „პერესტროიკით“ გააქტიურებულ საბჭოთა საქართველოში, გავლენის სფეროებისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო. სწორედ ნომენკლატურულმა ინტელიგენციამ სცადა ყურადღების ცენტრში მოქცევა და, ახალი კონიუნქტურის შესაბამისად, სრულიად ბნელი ნაციონალიზმის ქადაგებას შეუდგა, რამაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი საქართველოში ეთნოკონფლიქტებისა და საყოველთაო სიძულვილის განწყობის მომზადებას. ინტელექტუალთა მხოლოდ მცირერიცხოვანმა ნაწილმა გაბედა დაპირისპირებოდა იმ საფრთხეს, რომელიც უკვე თავად „ეროვნული მოძრაობიდან“ და მზარდი ნაციონალიზმისგან მომდინარეობდა. ეს კი საფუძველი გახდა ინტელიგენციის ახალი მითოსის შესაქმნელად, რომელიც საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას უკავშირდება.

გამსახურდია „კრიმინალური“, „წითელი ინტელიგენციის“ ხატის შექმნას შეუდგა, რომელიც კლასობრივ ბრძოლას უცხადებდა პირველ პრეზიდენტს, საკუთარი პრივილეგიების შესანარჩუნებლად, თუმცა ამის პარალელურად, 1991 წელს, გამსახურდიასვე ინიციატივით, დაფუძნდა „ინტელიგენციის დარბაზი“, რომელშიც მისი მომხრე ისეთივე საბჭოთა ნომენკლატურული ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული, როგორებიც მის ოპოზიციაში, მაგრამ ხელისუფლებისადმი ლოიალურობის გამო, მათი საბჭოთა წარსული აღარავის ახსოვდა.

„წითელი ინტელიგენციის“ მითი ყველაზე მეტად მაინც ედუარდ შევარდნაძემ გააფორმა, როდესაც 1992 წლის 7 მარტს, მოსკოვიდან დაბრუნებულმა, თბილისის აეროპორტში მადლობა გადაუხადა ინტელიგენციას, რომელიც „იარაღით ხელში“ აუჯანყდა გამსახურდიას. ამით მან, ერთი მხრივ, შეიარაღებული გადატრიალება აჯანყებად გადახატა, თანაც ამ ქათინაურით, საკუთარი იდეოლოგიური საყრდენი შექმნა და ინტელიგენციისა და ხელისუფლების ალიანსიც ახალი „ხელშეკრულებით“ განამტკიცა.

90-იან წლებში, შევარდნაძის მიერ „ქართველი საზოგადოების ნაღებად“ შერაცხული ინტელიგენცია, სწორედ მეორე პრეზიდენტის ძალაუფლების ფასადი იყო, რომლის უკანაც რეალური ძალაუფლების ბერკეტები – კორუმპირებული ბიუროკრატია და ბიზნესმენებად შერაცხული მაფიოზური კლანები იმალებოდნენ.

ინტელიგენციისა და ხელისუფლების ეს ალიანსი არც სააკაშვილის „ლიბერტარიანული“ მმართველობის ქვეშ შეცვლილა: როგორც გამსახურდიას დროს, ინტელიგენციის ერთი ნაწილი სახელისუფლებო არეალის გარეთ აღმოჩნდა და არ ითაკილა, სააკაშვილის ჯინაზე, სრულიად პრიმიტიული შოვინიზმის ქადაგება დაეწყო. სააკაშვილმა კი საკუთარი, ახალი „ინტელიგენცია შექმნა, რომელსაც პირობითად, „ვარდისფერ ინტელიგენციას“ დავარქმევდი.

„ვარდისფერი ინტელიგენცია“ სააკაშვილის „ლიბერტარიანული“ იდეოლოგიისა და ნაციონალისტური კიჩის უშუალო ავტორია. იდეოლოგიურ სფეროში მისი ძირითადი ფუნქცია პრეზიდენტის ნათქვამისა თუ ნამოქმედარისთვის ხოტბის შესხმა და მისი შიდა თუ გარე კრიტიკისგან დაცვაა. მაგალითად, თუ პრეზიდენტი იტყვის „ზანგები ხომ არა ვართ?“, ვარდისფერი ინტელიგენტი განგვიმარტავს, რომ ამაში რასისტული სტერეოტიპი კი არა, „ვეფხისტყაოსანზე ალუზია უნდა დავინახოთ („აქა, მათ, ზანგთა მონათა, მზე მოიყვანეს ნავითა“). ამასთან, ისაა სახელმწიფოსა თუ „ლიბერტარიანელ ბიზნესმენთაგან“ დაფინანსებული იმ მდარე ხარისხის იდეოლოგიური ესთეტიკის შემსრულებელ-ხორცშემსხმელი, რომელსაც ერთ დროს, წითელი ინტელიგენციის შექმნილი სოცრეალიზმის მსგავსად, ნაცრეალიზმი შეიძლება ეწოდოს.

დასასრული მე-3 გვერდზე

ინტელიგენციის ფაქტორი

მე-2 გვერდიდან

მოკლედ, წითელი ფერის გავარდისფრებით პრინციპი არ იცვლება: ინტელიგენციის მთავარი პრობლემა კვლავაც ხელისუფლებისგან ვერგანთავისუფლებაა, რომელიც მას მომავალშიც კონიუნქტურის შესაბამის ფერებად გადაღებავს"...

– მეტი მუშაობაა საჭირო ინტელიგენციასთან... საქართველოში არ არსებობს პარტიული მუშაობა ინტელიგენციასთან მუშაობის გარეშე, – ამ სიტყვებს საქართველოს მეორე პრეზიდენტი, საქართველოს ცეკა-ს ყოფილი პირველი მდივანი, სსრკ-ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, აწ გარდაცვლილი ედუარდ შევარდნაძე 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილის შემდეგ, კერძოდ, 12 აპრილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე იტყვის.

მერე, წლები რომ გავა, ინტერნეტგამოცემა „ექსპერტ.გე" ედუარდ ამბროსის ძის ზემოხსენებულ სიტყვებს გაიხსენებს და დაწერს:

„შევარდნაძე გულწრფელი იყო – ჯერ კიდევ 1972 წლიდან, როგორც კი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა, შევარდნაძემ დაიწყო „ინტელიგენციასთან მუშაობა", რაც შემდგომ საქართველოში „პარტიული ხელმძღვანელობის" დამახასიათებელი სტილი გახდა. ქართველ „ინტელიგენციას" (ცნობილ მწერლებს, მეცნიერებს, მხატვრებს, კინორეჟისორებს, კომპოზიტორებს), რომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი საქმის მართლაც შესანიშნავი მცოდნე იყო, ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა თათბირებზე და შეკრებებზე „ცენტრალურ კომიტეტში". ეს უკანასკნელი იმ დროს ხელისუფლებასთან ასოცირდებოდა. ამდენად, „ცნობილ პოეტს" ან არანაკლებ „ცნობილ მსახიობს" გულს ეფონებოდა, როდესაც ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი დაურეკავდა და თათბირზე დაპატიჟებდა; შემდეგ მანქანას გაუგზავნიდნენ მოსაყვანად და ა.შ.

სხვათა შორის, ამ პერიოდშიც არანაკლები სიხშირით იმართებოდა ბანკეტები და წვეულებები (ოღონდ, რასაკვირველია „საბჭოთა დღესასწაულებთან" დაკავშირებით). ამ წვეულებებზე ყოველთვის პატიჟებდნენ „ცნობილ ინტელიგენციას" (რაიკომის მდივნებთან ერთად) – შევარდნაძემ ქართველი კაცის ფსიქოლოგია კარგად შეისწავლა, მან ზუსტად გათვალა, რომ „სუფრის სულისკვეთება" ადამიანთა და სოციალურ ჯგუფთა ურთიერთობაში ძალიან დიდ როლს ასრულებს.

ამავე დროს, საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა, რათა შეძლებისდაგვარად შეეწყო ხელი იმ ინტელიგენტებისათვის, რომლებიც „პარტიულ დირექტივებს" სწორად და ზუსტად ასრულებდნენ და „ცენტრალურ კომიტეტს" პრობლემებს არ უქმნიდნენ – „დამჯერ" მწერლებს საშუალება ჰქონდათ გამოეცათ თავიანთი ნაწარმოებები, ხოლო კინორეჟისორებს – გადაეღოთ ფილმები და ა.შ.

თანდათანობით, ამგვარი პოლიტიკის შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სოციალური ფენა, რომელიც პარტიულ (სახელისუფლო) ელიტასთან იყო შეზრდილი და, ფაქტობრივად, იმდროინდელი საზოგადოების ზედა ფენას წარმოადგენდა. ამავე დროს, ეს ინტელიგენცია (სახელწოდება, რასაკვირველია, პირობითია, მაგრამ რაკი სწორედ ეს სახელწოდება დამკვიდრდა, ჩვენც იძულებულები ვართ, იგი გამოვიყენოთ) ე.წ. „საბჭოთა ნომენკლატურის" განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და ისევე, როგორც ჩვეულებრივი პარტიული, კომკავშირული ან სამეურნეო-სამრეწველო ნომენკლატურა, მონაწილეობდა იერარქიულ კიბეზე „ვერტიკალურ" თუ „ჰორიზონტალურ" გადაადგილებებში.

კომუნისტების მიერ გამოძერწილ „წითელ ინტელიგენციას" ერთი უცნაურობა ახასიათებდა: მიუხედავად შემოქმედებითი „დისიდენტობისა", იგი ხელისუფლებისადმი ლოიალობას ყოველთვის ინარჩუნებდა. მაგალითად, რომელიმე მწერალს შეეძლო დაეწერა „დისიდენტური" რომანი (რა თქმა უნდა, გადაჭარბების საშუალებას არ მისცემდნენ), რომელშიც მკაცრად გააკრიტიკებდა (ქარაგმულად) საბჭოთა წყობას, კომუნისტურ იდეოლოგიას; მაგრამ ამავე დროს, ცენტრალურ კომიტეტში, თავის „მეგობარ-ამხანაგებთან" შესანიშნავ ურთიერთობას შეინარჩუნებდა ისევე, როგორც თვით „ცეკა"-ს პირველ მდივანთან.

რასაკვირველია, იმავე „ცეკა"-ს ინსტრუქტორები (იდეოლოგიის დარგში) შესანიშნავად ამჩნევდნენ იმ ქარაგმებს, რომლებიც რომანში (ფილმსა თუ სპექტაკლში) იყო ჩადებული, მაგრამ არაფერს აკეთებდნენ მათ ასაკრძალად – ესეც შევარდნაძის ძალზე ეშმაკური და შორსმჭვრეტელური პოლიტიკა იყო. როდესაც ეს რომანი (ფილმი, სპექტაკლი) რუსეთში ხდებოდა ცნობილი, იქაური „ინსტრუქტორები" განცვიფრებას ვერ მალავდნენ და სულ ცოფებს ყრიდნენ, მაგრამ საქართველოში (შევარდნაძის „ლოცვა-კურთხევით") კვლავ იდგმებოდა „დისიდენტური" სპექტაკლები, იღებდნენ „დისიდენტურ" ფილმებს, კომედიებს და ა.შ.

ამ უცნაურობის ახსნა ადვილად შეიძლება: შევარდნაძეს ინტელიგენციის იდეური მრწამსი არ აინტერესებდა – მისთვის მთავარი ის იყო, რომ ინტელიგენცია ხელისუფლებისადმი ლოიალური ყოფილიყო. ვიმეორებ, ყოფილიყო ლოიალური ხელისუფლების და არა იდეოლოგიისადმი.

სწორედ ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, შევარდნაძე გასაქანს არ აძლევდა იმას, ვინც „მართლმორწმუნე კომუნისტი" იყო, მაგრამ ხელისუფლებისადმი განსაკუთრებულ ლოიალობასა და მლიქვნელობას არ იჩენდა. ამ მომენტიდან აშკარად გამომდინარეობს დასკვნა: შევარდნაძე არასდროს (ყოველ შემთხვევაში, „ცეკა"-ს პირველი მდივნობის პერიოდში) გულწრფელი კომუნისტი არ ყოფილა – მას ხელისუფლება უფრო აინტერესებდა, ვიდრე იდეოლოგია. კომუნისტური იდეოლოგია და ცხოვრების წესი მისთვის მეორეხარისხოვანი იყო. გათვლა ძალიან ზუსტი აღმოჩნდა. შევარდნაძის მმართველობის შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა სოციალური ფენა (ზედაფენა), რომელიც (რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს) ლოიალური იყო ხელისუფლების მიმართ და არ იყო ლოიალური ამ ხელისუფლების იდეოლოგიისადმი.

1988 წლიდან, „საბჭოთა სახელმწიფომ" რღვევა იწყო. ე.წ. გარდაქმნის პროცესი არყევდა ადრე ჩამოყალიბებულ სოციალურ სისტემას. კომუნისტური იდეოლოგია განადგურდა, მაგრამ ის საზოგადოებრივი იერარქია, რომელიც კომუნისტების დროს არსებობდა, არ დანგრეულა.

შეიქმნა ვითარება, როდესაც არსებობდა საზოგადოებრივი შენობა იდეოლოგიის გარეშე. სწორედ მაშინ გამოჩნდა, რამდენად ზუსტი იყო შევარდნაძის გათვლა, რამდენად სწორად მოიქცა იგი (საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე), როდესაც შექმნა, გამოძერწა ლოიალური ელიტა – მისთვის იდეოლოგიური დოგმების თავსმოხვევის გარეშე.

1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს ისტორიაში პირველი დემოკრატიული არჩევნების შედეგად, ხელისუფლება მოიპოვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო" – ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით.

ყოფილი დისიდენტი, ზვიად გამსახურდია ჯერ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო შემდეგ პრეზიდენტი გახდა, მაგრამ რეალურად, ძალაუფლება მას არასდროს არ ეპყრა ხელთ 1990 წლის 28 ოქტომბრიდან – 1992 წლის 7 იანვრამდე. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ტრაგედია (როგორც თავად აღნიშნა) იმაში მდგომარეობდა, რომ მას დახვდა ძველი ხელისუფლების აპარატი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზვიად გამსახურდია მოვიდა იმ შენობის სათავეში, რომელიც მთლიანად ედუარდ შევარდნაძის აშენებული იყო. შევარდნაძის მიერ რუდუნებითა და მოთმინებით „გამოძერწილმა" ზედაფენამ (მიუხედავად იდეოლოგიური მსგავსებისა) ვერ იგუა სხვა („უცხო") ლიდერი, რაც კრიმინალური ბანდების მიერ, პრეზიდენტის დამხობის უმთავრესი მიზეზი გახდა. ელიტამ მას მხარი არ დაუჭირა, რადგან ეს მისი ელიტა არ იყო – ეს იყო შევარდნაძის ელიტა, შევარდნაძის ხელისუფლებაზე მორგებული ზედაფენა, რომელიც სხვა ლიდერს ვერ იგუებდა და ვერც იგუა.

ამას დაემატა ის გარემოება, რომ ზვიად გამსახურდიას, პოლიტიკოსისთვის აუცილებლად დამახასიათებელი და საჭირო ორი უმთავრესი თვისება არ აღმოაჩნდა, – მოთმინება და ადამიანებთან ურთიერთობის უნარი.

გამსახურდიამ, რასაკვირველია, იცოდა, რომ ის ე.წ. ინტელიგენცია კვლავინდებურად შევარდნაძის ერთგული იყო, ამიტომ ზვიად გამსახურდიას იგი ჭირის დღესავით სძულდა და ამ სიძულვილის ხშირი გამოვლინებით, მას სათანადო საბაბსაც აძლევდა „საპროტესტო-დემოკრატიული" მოძრაობის ასაგორებლად.

არავითარი განსაკუთრებული ძალისხმევა თვით ედუარდ შევარდნაძეს ამ მოძრაობის საქართველოში „პროვოცირებისთვის" არ სჭირდებოდა, ვინაიდან მის მიერ შექმნილ-გამოძერწილი სოციალური ჯგუფი თავად იმოქმედებდა მასში ჩადებული მუხტისა და მიმართულების შესაბამისად.

საბოლოოდ, საქართველოში აღდგა ის სოციალური იერარქია, ის რეალობა, რომელიც 1985 წლამდე არსებობდა – ედუარდ შევარდნაძე დაბრუნდა იმ შენობის სათავეში, რომელიც თავად ააგო. იგი სიხარულით მიიღო მის მიერ „გამოძერწილმა" ელიტამ და დღემდე ერთგულად ემსახურება.

სხვათა შორის, 1985 წლიდან, საქართველოს „ცეკა"-ს ახალმა მდივანმა, ჯუმბერ პატიაშვილმა სცადა „შევარდნაძის ელიტის" მიმხრობა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ინტელიგენციამ ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი შევარდნაძეს – მისი განსაკუთრებული გამძვინვარება გამოიწვია სოლიკო ხაბეიშვილის დაპატიმრებამ, რადგან ელიტა მიხვდა, რომ დარტყმა „შემოქმედის" წინააღმდეგ იყო მიმართული.

რასაკვირველია, პირდაპირ ელიტა ვერ გამოხატავდა თავის აღშფოთებას (ხაბეიშვილს ხომ კორუფციაში ედებოდა ბრალი), მაგრამ მან „შემოვლითი გზა" აირჩია და „ტრანსკავკასიის რკინიგზასთან დაკავშირებით" ატეხა ხმაური – რაც პატიაშვილის ხელისუფლებაზე პირველი სერიოზული დარტყმა იყო.

დღეს „წითელი ინტელიგენცია", იგივე, „შევარდნაძის ელიტა", კვლავინდებურად ინარჩუნებს ლოიალობას „შემოქმედის" მიმართ. ზოგიერთი ფიქრობს, თითქოს ხსენებული სოციალური ფენა რუსეთზეა ორიენტირებული, მაგრამ ამგვარი ინტერპრეტაცია არ არის სწორი:

საქართველოს „წითელი ინტელიგენციისათვის" საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ან იდეოლოგიის საკითხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არასდროს ჰქონია. მისთვის მთავარია შეინარჩუნოს ცენზი, ამისთვის კი აუცილებელია იმ ბალანსის შენარჩუნება, რომელიც სოციალურ კიბეზე არსებობს. კონსტრუქციის მთავარი საყრდენი კვლავინდებურად ედუარდ შევარდნაძეა.

საქართველოს დღევანდელმა პრეზიდენტმა შეძლო შეექმნა ვითარება, როდესაც შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელი (მხატვარი, მწერალი, პოეტი და ა.შ.) გარკვეულწილად, „გაორებულია" – იგი ორმაგ ცხოვრებას ეწევა: ერთი ცხოვრება მისი რომანები, ფილმები და სპექტაკლებია, ხოლო მეორე – ის, რასაც ჩვენში „საზოგადოებრივ-პოლიტიკურ" მოღვაწეობას უწოდებენ.

„მეორე ცხოვრება" (ხშირად „პირველისგან" განსხვავებით) არაკომპეტენტურობისა და პრიმიტივიზმის ნიშანს ატარებს. სწორედ ამიტომ ხდება, რომ ვთქვათ, შესანიშნავი მწერალი ან კინორეჟისორი – პოლიტიკაში ელემენტარული რეგვენია და ისეთ სისულელეებს როშავს, შეიძლება თმები დაგიდგეს ყალყზე; ამიტომაც ჩნდება ხალხში მოარული აზრი – ესა და ეს რომანი ამ მწერლის დაწერილი არ უნდა იყოს, თორემ, აბა, ეს იდიოტი ასეთ შესანიშნავ წიგნს როგორ დაწერდაო.

„წითელი ინტელიგენციის" მისია ჯერ არ ამოწურულა. იგი ვერც გაექცევა (რომც მოინდომოს) ამ მისიას, რადგან „შემოქმედი" მის ყოველ ნაბიჯს მკაცრად აკონტროლებს და იმავე სოციალური სტიმულირებით უნარჩუნებს ადრე შთანერგილ მიდრეკილებებს, თუმცა თვით ამ სტიმულირების ფორმა დღეს უკვე სხვაა: აღარც „ცენტრალური კომიტეტი" არსებობს და აღარც „კულტურისა და იდეოლოგიის განყოფილება", – ნათქვამია წერილში, რომელიც 1996 წლით თარიღდება.

გიორგი გუგავა: „დავრჩით მარტოობაში და თვითგვემა გამოგვდის“

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ე.წ. ბოიკოტირების ბოლო ბასტიონიც ინგრევა – პარლამენტში, შესაძლოა, შალვა ნათელაშვილიც შევიდეს. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ამ თემაზე სოციალურ ქსელში გამოკითხვას ატარებს. „მას შემდეგ, რაც ყველა ოპოზიციურმა პარტიამ პარლამენტში შესვლით აზრი დაუკარგა ბოიკოტს, ფიქრობთ თუ არა, რომ ლეიბორისტულმა პარტიამ უნდა გამოიყენოს თავისი მანდატი და შესაბამისად, მე შევიდე პარლამენტში?“ – კითხულობს ნათელაშვილი, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მიღებული ერთი მანდატის გამოყენებაზე 6 იანვარს ალაპარაკდა. ნათელაშვილის ამ პოზიციას უკვე გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი, გიორგი ხელაშვილი, რომელმაც განაცხადა: „ყველაფერი ჯდება კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში. შესაბამისად, თუ არსებობს საფუძველი იმისთვის, რომ შალვა ნათელაშვილს შეუწყდეს უფლებამოსილება, ეს უფლებამოსილება კანონის მიხედვით იქნება შეწყვეტილი“.

რატომ დაიწყო ფიქრი საკანონმდებლო ორგანოში შესვლაზე ქვეყნის პირველმა ლეიბორისტმა, რომელიც ამ გადაწყვეტილების გამო, კოლეგებს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა? – „ვერსია“ ლეიბორსტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, გიორგი გუგავას ესაუბრა.

რატომ გადაწყვიტა შალვა ნათელაშვილმა პარლამენტში შესვლა

– ეს გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, მაგრამ გეტყვით, რამ გამოიწვია ამაზე ფიქრი – ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგები ვიყავით, რომ საერთო ოპოზიციური ფრონტი შემდგარიყო. ბოიკოტირება ინსტრუმენტი იყო, რათა მიგვეღო ახალი არჩევნები, რაც უმტკივნეულო საშუალება იქნებოდა, რომ არ გვეპატიებინა გაყალბებული არჩევნები და არალეგიტიმური პარლამენტი. მოგეხსენებათ, დაირღვა ეს შეთანხმება და ხელი მოაწერეს ე.წ. მიშელის დოკუმენტს, მაგრამ ჩვენ მაინც დავრჩით ბოიკოტში იმ იმედით, რომ ნახავდნენ, რა მძიმე შედეგი დადგებოდა და მართლაც, ასე მოხდა. მმართველმა ძალამ არ შეასრულა შარლ მიშელის დოკუმენტის ერთი მუხლიც, გააყალბეს თვითმმართველობის არჩევნებიც და ამ შემთხვევაშიც გვეგონა, რომ შეიძლებოდა, საერთო ბოიკოტირება შემდგარიყო, რადგანაც პირობებს არ ასრულებს ხელისუფლება. თუ ბოიკოტი საერთო ოპოზიციური არაა, სამწუხაროდ, მნიშვნელობას კარგავს. ეს ჩვენი აკვიატება ხომ არაა? – პოლიტიკური ინსტრუმენტია და აქედან გამომდინარე, დავიწყეთ ფიქრი, რომ ჩვენს პარტიას გამოეყენებინა ეს ტრიბუნა, თუნდაც მხილებისთვის, რათა პირდაპირ გვეთქვა სათქმელი. ამასთან დაკავშირებით, დავიწყეთ საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევა. საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს პოლიტიკური კომიტეტი. გამოკითხვა სოციალურ ქსელში, შალვა ნათელაშვილის ოფიციალურ გვერდზე მიმდინარეობს.

– გამოკითხვის არსებული მონაცემებით, პარლამენტში შესვლის მომხრეები სჭარბობენ თუ მოწინააღმდეგეები?

– ამ გამოკითხვას საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა და უმეტესობა ნათელაშვილის პარლამენტში შესვლას მოითხოვს. ხმები ბოლოს დაითვლება, გაანალიზდება და უახლოეს დღეებში, გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

– ბატონო გიორგი, საპარლამენტო უმრავლესობაში ნათელაშვილის საპარლამენტო უფლებამოსილების შესაძლო შეწყვეტაზე მიანიშნეს...

– ეს იმას ნიშნავს, რომ შეშფოთდნენ, შალვა ნათელაშვილის იმდენად შეეშინდათ, რომ წინასწარ დაიწყეს განცხადებების გაკეთება, შევუზღუდავთ უფლებამოსილებასო. პოლიტიკური ბოიკოტი მსოფლიოში აღიარებული პრაქტიკაა და გათვალისწინებულია ჩვენი კანონმდებლობითაც. ეს გაცდენა და სამუშაოზე არსიარული კი არა, პოლიტიკური პოზიცია იყო იმ გაყალბებული არჩევნების გამო, რასაც ხელისუფლება სჩადის. იმდენად შოკში ჩავარდნენ, რომ რეპრესიული ღონისძიებების გატარება დაიწყეს, რაც ჩვენს მიმართ არახალია. ალბათ, გახსოვთ, ამ ბოიკოტირების გამო, წაგვართვეს კომისიის წევრების დანიშვნის უფლება 3800 უბანზე, წარმომადგენლების დაფინანსება შეგვიწყვიტეს, სარეკლამო დრო შეგვიზღუდეს და ა.შ. პერსონალური სანქცირება მოუწყვეს ჩვენს პარტიას!

– ამ დრომდე, შალვა ნათელაშვილი მკაცრად გამორიცხავდა პარლამენტში შესვლას და თქვენც, ჩემთან ინტერვიუში, უმწვავესად აკრიტიკებდით ოპოზიციას პარლამენტში შესვლის გამო, მოსყიდულსა და მოღალატეს ეძახდით... ახლა პოზიცია რატომ შეიცვალეთ?

– ახლაც იმავე პოზიციაზე ვარ! რომ შემდგარიყო საერთო ბოიკოტირება, შესაძლებელი იქნებოდა რეჟიმის უმტკივნეულოდ ჩამოშლა, მივიღებდით ახალ არჩევნებს და გამარჯვებული გამოვიდოდა ოპოზიცია, მაგრამ როგორც ნახეთ, ეს ბოიკოტირება არ შედგა და ჩვენ დავრჩით მარტოობაში ანუ თვითგვემა გამოგვდის, რადგან ამის გამო ჩვენ დავისაჯეთ! პარტია ფუნქციონალური ორგანიზაციაა და მას გარკვეული საშუალება სჭირდება, რომ იმოქმედოს და შედეგს მიაღწიოს. ოპოზიციას კი ყველაფერ ამაზე დიდი რეაქცია არ ჰქონია და ერთადერთი, ოფიციალურად დასჯილი, აკრძალული პარტია ვართ! ერთი არჩევნები გაყალბდა, მეორე არჩევნები გაყალბდა, შარლ მიშელის დოკუმენტი თავზე გადაახიეს და მაინც ვერ გამოვიდნენ!.. სამწუხაროდ, მარტოობაში გამოვდივართ

რატომ გადაწყვიტა შალვა ნათელაშვილმა პარლამენტში შესვლა

დასჯილი, ამიტომ დავიწყეთ ფიქრი, ხომ არ გამოვიყენოთ ეფექტურად ტრიბუნა მხილებისა და ჩვენი იდეების შესაბამისი კანონპროექტების წარდგენისთვის? იმის ილუზია არ გვაქვს, რომ რიხინ-რიხინით გავა ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივები, მაგრამ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. შემიძლია, ამის მაგალითი მოგიყვანოთ ელექტროენერგიასთან დაკავშირებით – მთელი ახალი წლის დღეებში, პრაქტიკულად, არ დაგვისვენია და ვიბრძვით ამ საკითხთან დაკავშირებით (ორ-ორი ქვითარი რომ მოვიდა და ტარიფები გაიზარდა), რის შედეგადაც შევაჩერებინეთ ანუ 2 ქვითარი ვისაც მიუვიდა და არ გადაუხდია, ელექტროენერგიას არ შეუწყვეტენ! დღეს გამოაცხადეს, რომ სუბსიდირება აღდგება, რაც ჩვენი დამსახურებაა და ა.შ.

დღეს რომ გამოაცხადონ ოპოზიციურმა პარტიებმა საერთო ბოიკოტირება, პირველი მედროშეები ჩვენ ვიქნებით...

– ისე, ნაციონალურ მოძრაობაშიც მსჯელობენ საპარლამენტო ბოიკოტის შეწყვეტაზე...

– მნიშვნელოვანი იქნებოდა საერთო ბოიკოტირება, მაგრამ არ შედგა და რა ვქნათ?! მარტო ჩვენი ბოიკოტირება რომ რამეს შველოდეს, რა თქმა უნდა, გავაგრძელებდით, მაგრამ ასე არ არის...

– ბატონო გიორგი, თქვენი ამომრჩევლის თვალით შეხედეთ ამ პროცესს – აღნიშნული გადაწყვეტილება საკუთარ პრინციპზე უარის თქმა არ გამოდის ნათელაშვილისა და თქვენი პარტიის მხრიდან?

– პრინციპზე უარის თქმა როგორ გამოდის, როდესაც ვამბობთ, რომ ბოიკოტირება არის ინსტრუმენტი, რათა მიგვეღო ახალი არჩევნები?! მარტო დავრჩით ამ ბოიკოტირებაში და როგორაა ეს, პრინციპზე უარის თქმა?! შეგიძლიათ, განწყობა ნახოთ იმ გამოკითხვაში. რამდენიმე ათასი ადამიანის პოზიციაა დაფიქსირებული და, პრაქტიკულად, ერთსულოვანი მხარდაჭერაა, რომ შევიდეს პარლამენტში და სიმართლე უთხრას ხელისუფლებას პირში. ამის მთქმელიც არავინ დარჩა პარლამენტში, მე რომ მკითხოთ.

– კეთილი... მნიშვნელოვანი პროცესები ვითარდება ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში, პარტიის ხელმძღვანელ პოსტებზე დიდი გადალაგებაა და როგორც ამბობენ, მწვავე საპროტესტო გამოსვლებისთვის ემზადებიან... ამ პროცესს როგორ აფასებთ?

– ვერ დავიწყებ პარტიის შიდა პროცესების შეფასებას, მაგრამ შემიძლია, გითხრათ, რომ ჩვენ გვაქვს ჩვენი გზა. ლეიბორისტული მოძრაობა სოციალური სამართლიანობის მემარცხენე-ცენტრისტული პარტიაა, ეს ორი პოლიტიკური ძალა კი – „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა, ერთი ხის სხვადასხვა განშტოებაა. მათ პოლიტიკასა და დამოკიდებულებას შორის განსხვავება არ არის. ის პოლიტიკა გრძელდება, რომელმაც დააქცია ქვეყანა! უბრალოდ, ამათ მოდერნიზება გააკეთეს, გნებავთ, არჩევნების გაყალბების, ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის, რაც იწვევს ხალხის გაღარიბებას, მართლმსაჯულების ჩამოშლას, პოლიტიკური ბალანსის დარღვევას. ამ პოლიტიკას წინა ხელისუფლებაც ახორციელებდა და დღევანდელიც! დენის ტარიფების გაძვირება იმათ დაიწყეს და ამათ გააგრძელეს ანუ მათ შორის იდეური განსხვავება არ არსებობს, ისინი მხოლოდ ადგილისთვის იბრძვიან და ჩვენი მიზანია, რომ ქვეყანაში არსებითაც შეიცვალოს პოლიტიკური სისტემა; სიკეთე და დოვლათი, რაც ქვეყანას გააჩნია, სამართლიანად გადანაწილდეს მოსახლეობაზე, რაც განაპირობებს სამართლიანი არჩევნების ჩატარებას და თავისუფალი მართლმსაჯულების შექმნას, ქვეყნის სტაბილურობას და ა.შ.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლას, მართალია, ის პოლიტპატიმარია და მისი განთავისუფლება ერთ-ერთმა პირველებმა მოვითხოვეთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უდანაშაულოა, მაგრამ გვერდით რომ ჰყავდეს მას დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მაშინ იქნებოდა სამართლიანობა. მიკერძოებული სამართლიანობა ხორციელდება და იმიტომაცაა ის პოლიტპატიმარი, მაგრამ მისმა ჩამოსვლამ, გარკვეულწილად, გააძლიერა ეს ხელისუფლება. შუაში გაყვეს პოლიტიკური ველი...

– მოკლედ, სააკაშვილის ჩამოსვლამ პარტიების ე.წ. შუა გაკრეფის პროცესი გააძლიერა, არა?

– ორივე პოლიტიკური ძალა ამას ხელს უწყობს. მათი მიზანია, გაიყონ პოლიტიკური ველი, ეძიძგილაონ ერთმანეთს. ისინი ერთმანეთს კვებავენ და რაც უფრო აქტუალური იქნება მიხეილ სააკაშვილი, მით გადაფარავს ხელისუფლება იმ პრობლემებს, რომლის წინაშეც დგას ქვეყანა. სიღარიბე კატასტროფული შედეგებით იზრდება, ამ ერთ წელიწადში, 120 000-ით გაიზარდა სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ადამიანთა რაოდენობა და მილიონს გადააჭარბა. არის ერთი პატარა მდიდარი ფენა, დანარჩენები კი სიღარიბესა და სიღატაკეში ვართ. სოციალური უფსკრული ამ ფენებს შორის იზრდება და ეს საკითხები რომ გადაიფაროს, მიდის ძიძგილაობა ერთმანეთს შორის. სამწუხაროდ, საზოგადოების საკმაოდ სოლიდური ნაწილი ამასაა აყოლილი და ამით ხდება ბიპოლარული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება, რომლებიც ერთმანეთს კვებავენ.

– ბატონო გიორგი, თვეების განმავლობაში, თქვენი პარტიის ოფისში ვხედავდით ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს, რომლებიც სხვა პარტიებთან ერთად, ჩართულნი იყვნენ საერთო მოლაპარაკებაში. ახლა რატომ გაემიჯნეთ ენმ-ს და ამ პარტიის მიმართ თქვენი პოზიცია რატომ გამწვავდა?

– ჩვენ ყოველთვის გამიჯნული ვიყავით. იმ საერთო ოპოზიციურ შეკრებებში მხოლოდ ენმ კი არა, მთელი ოპოზიციური სპექტრი იყო, შეკრების მიზანი კი ის გახლდათ, რომ მიგვეღო პროპორციული საარჩევნო სისტემა და შეთანხმებას მივაღწიეთ. 30%-მდე ჩამოვიყვანეთ და მომავალში სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდება არჩევნები... მეორე მიზანი იყო პოლიტპატიმრების განთავისუფლება, რასაც ასევე მივაღწიეთ. შემდეგ, როცა ბოიკოტირება იყო საჭირო, იქ დაარღვიეს პირობები და წარმოაჩინეს სახე. ჩვენ მათთან კოალიციაში არასდროს ვყოფილვართ და ჩვენს შორის მუდმივად იყო ის განსხვავებები, რაც დღეს არის.

– რა პოზიცია გაქვთ ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით ანუ რომ დაიწყოს ენმ-მ აქციები ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით, ლეიბორისტული პარტია შეურთდება?

– ესაა ფარსი და ამ მოთხოვნით აქციას ჩვენ არ შევუერთდებით!

არჩილ გამზარდია: „თუ მელია პარტიას დატოვებს, ენმ-ს ამომრჩევლის 7-10% გაჰყვება“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რატომ ცდილობს მიხეილ სააკაშვილი ნიკა მელიას პოზიციების შესუსტებას

ნაციონალურ მოძრაობაში ძირეული ცვლილებებია – 10 იანვარს, პარტიის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარედ კობა ნაყოფია აირჩიეს, გენერალური მდივანი კი პეტრე ცისკარიშვილი გახდა. ენმ-ის თავმჯდომარის პოსტზე ნიკა მელია რჩება, თუმცა აღნიშნულმა ცვლილებებმა გააჩინა ეჭვი, რომ შესაძლოა, მელიას გავლენების შეზღუდვა იგეგმება. პოლიტიკაში გარკვეულებისთვის ძნელი გამოსაცნობი არაა, რომ ენმ-ის მმართველ პოზიციებზე მიხეილ სააკაშვილის ე.წ. ფრთის წარმომადგენლების დანიშვნა ნიკა მელიას პოლიტიკური ჩაჩოჩების მცდელობაა. ამიტომაც კულუარებში ამბობენ, რომ შესაძლებელია, მელიამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დატოვოს და ახალი პარტია შქმნას ან სხვა პოლიტიკურ მოძრაობას შეუერთდეს. თავად მელია მედიასთან აცხადებს, რომ ეჭვებისთვის საფუძველი არ არსებობს და ამ ცვლილებებით პარტია უფრო გაძლიერდება.

საქართველოს ყველაზე მრავალამომრჩევლიან ოპოზიციურ პარტიაში მიმდინარე პროცესებზე „ვერსია“ ანალიტიკოს არჩილ გამზარდიას ესაუბრა:

– ამ ამბავს ფორმალურად რომ შევხედოთ, სადავო არაფერია, რადგან პოლიტსაბჭოს ადგილი ვაკანტური იყო და შეივსო, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ნაციონალური მოძრაობა ბოლო პერიოდში გახდა საინტერესო. ეს იყო ნოვაცია, რაც ნიკა მელიამ შეიტანა პარტიაში – ახალი გუნდი და დამოკიდებულებები შექმნა, მცდელობა ჰქონდა, რომ ნაციონალური მოძრაობაში ის შეენარჩუნებინა, რაც წლების განმავლობაში პოზიტიური ფაქტორი ჰქონდა და ის მოეხსნა, რაც ნეგატიური იყო. საბოლოოდ, პარტიაში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც ენმ-ის მმართველობის წლებთან კავშირი არ ჰქონდათ და ა.შ. მოკლედ, ბევრი საინტერესო რამ წარმოადგინა. ჩემთვის ამ ცვლილებაში საინტერესო ისაა, თუ რატომ არ გახდა პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე მელიას ე.წ. გუნდის წევრი, მაგრამ თავის დროზეც ვამბობდით, რომ მიხეილ სააკაშვილი ერთმმართველი პირია. დღეს ნაციონალური მოძრაობისთვის ის ჩრდილოვანი მმართველია, პარტიის შემქმნელი, დამფუძნებელი და მთავარი გმირი, მაგრამ ფორმალურად საპატიო თავმჯდომარეა, თუმცა ამ ქვეყნის მოქალაქე არაა ანუ როგორც ახლა ბიძინა ივანიშვილს არ აქვს მართვის სამართლებრივი უფლება პარტიაში, ისე მიხეილ სააკაშვილსაც, მაგრამ მთლიანად თავად მართავს პარტიას. წინა თავმჯდომარე, გრიგოლ ვაშაძე უფრო ადმინისტრაციული ფუნქციებით იყო დატვირთული და ასეთი თავმჯდომარე უნდოდა მიხეილ სააკაშვილს. სხვათა შორის, უნდა აღვნიშნოთ, რომ სააკაშვილმა სცადა თავისი ბუნების წინააღმდეგ წასვლა, როცა პირველ პერიოდში, ხელი შეუწყო ნიკა მელიას იდეებსა და წარმატებას. ამას ისიც დაემთხვა, რომ მელია დააკავეს, წინასაარჩევნო პერიოდი იყო და როდესაც დასჭირდა სააკაშვილს – სიტუაცია შეექმნა, რომ ნიკა მელიას იდეებს აჰყოლოდა, რაღაც პერიოდში ასეც მოიქცა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი ახლა არ თვლის, რომ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე უნდა იყოს თვითმყოფადი პირი, რომელიც რასაც ჩათვლის საჭიროდ, იმას გააკეთებს. სააკაშვილი მიიჩნევს, რომ თავად უნდა იყოს წარმმართველი და არა სხვა, რომ დროთა განმავლობაში ჩაიხსნას მმართველობიდან, რაც ჩვეულებრივი პროცესია, რადგან არ შეიძლება, ადამიანი მუდმივად იყოს მმართველი. ამას ის არ აიტანდა და ყველაფერ ამის გამოძახილია, რომ ნიკა მელია უფრო პოლიტიკური ნაბიჯებით გამოირჩეოდა ბოლო პერიოდში და მიხეილ ს

ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საქართველოში მედიკამენტები გაიაფდება

რის საფუძველზე შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც მედიკამენტების ფასსა და ხარისხს გააკონტროლებს – ინტერვიუ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარესთან

მაკა რუხაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საქართველოში მედიკამენტები უნდა გაიაფდეს. პრემიერის ინიციატივითვე, უკვე გაიხსნა თურქეთის ბაზარი და ამიერიდან, საქართველოში მაღალი ხარისხის, მაგრამ დაბალი ფასის მქონე მედიკამენტები შემოვა. რაც მთავარია, მთავრობის ამოცანა უნდა იყოს არა მარტო მედიკამენტების ფასების მონიტორინგი, არამედ, ხარისხის კონტროლიც, რადგან მოსახლეობამ მხოლოდ ხარისხიანი მედიკამენტები მიიღოს. „მოსახლეობას ხარისხიანი მედიკამენტები უნდა მიეწოდოს და ეს არის ჩვენი, ნომერ პირველი მოთხოვნა. ახლა დავიწყებთ აქტიურად მუშაობას, ბატონი მინისტრი, ზურაბ აზარაშვილი დაიწყებს ამ თემაზე მუშაობას და უახლოეს რამდენიმე კვირაში გვექნება შედეგები", – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

თურქეთის ფარმაცევტული ბაზრის გახსნას წინ უძღოდა კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის სააგენტოს მიერ განხორციელებული ფარმაცევტული ბაზრის კვლევა. კვლევის დასრულების შემდეგ, სააგენტომ პარლამენტს უკვე გადაუგზავნა კიდეც შესაბამისი რეკომენდაციები. 17 იანვრის მთავრობის სხდომაზე, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ სამუშაო ჯგუფის შექმნა სურს და შესაბამისი თხოვნით მიმართა, როგორც ჯანდაცვის ახალ მინისტრს, ასევე პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების წარმომადგენლებსაც. პრემიერის ინიციატივით, პარლამენტმა, სამინისტრომ და მთავრობამ ერთობლივად უნდა იმუშაონ, რადგან შესაბამის კანონებში გარკვეული ცვლილებები განახორციელონ.

„ვერსია" დაინტერესდა, რის საფუძველზე უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რა საკანონმდებლო ცვლილებები უნდა გატარდეს მედიკამენტების გასაიაფებლად და რეალურად, რა პრობლემები არსებობს საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე? ამ კითხვებს „ვერსიასთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში საქართველოს კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის სააგენტოს თავმჯდომარე, ირაკლი ლექვინაძე პასუხობს.

– ბატონო ირაკლი, მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ბრძანა, რომ სამუშაო ჯგუფი უნდა შეიქმნას, რომლის მთავარი ამოცანა მედიკამენტების ფასების მონიტორინგი და ხარისხის კონტროლი უნდა იყოს. როგორ და რა პრინციპით უნდა შეიქმნას ეს ჯგუფი, ან როგორ უნდა შესრულდეს ეს ამოცანა?

– სააგენტომ დაასრულა ბაზრის მონიტორინგი, რის შედეგადაც გაიცა 13 რეკომენდაცია. აღნიშნული რეკომენდაციები, ძირითადად, კონკრეტულ საკანონმდებლო ცვლილებებს გულისხმობს და შესაბამისად, მასზე მუშაობა დამოკიდებულია უშუალოდ ჯანდაცვის სამინისტროზე. აქედან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფის შექმნაზე, ფორმატზე, მხარეთა ჩართულობაზე და ა.შ. გადაწყვეტილება მინისტრის დონეზე იქნება მიღებული. ამ შემთხვევაში, სააგენტო არ იქნება წამყვანი რგოლი, თუმცა შესაძლებელია, სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იყოს.

– კონკრეტულად, რა სახის ცვლილებები უნდა გატარდეს ამ მიმართულებით, უფრო ზუსტად, რა სახის რეკომენდაციები გაუგზავნა კონკურენციის სააგენტომ პარლამენტს ფარმაცევტული ბაზრის კვლევის დასრულების შემდეგ?

– სააგენტოს მიერ, მონიტორინგის შედეგად, გაიცა 13 რეკომენდაცია – I და II რიგის რეკომენდაციები. I რიგის რეკომენდაციები აერთიანებს 11 რეკომენდაციას და შესაბამისად, II რიგის რეკომენდაცია – 2 რეკომენდაციას. ამგვარ დაყოფას გააჩნია თავისი მიზეზი, კერძოდ, პირველი რიგის რეკომენდაციების განხორციელების შემდეგ, საჭიროა დამატებითი ანალიზი, მეორე რიგის ორი კონკრეტული რეკომენდაციის საჭიროებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება უშუალოდ რეკომენდაციებს, რაც ასევე გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტს, აღსანიშნავია, რომ სააგენტოს პოზიციით, აუცილებელია, პირველი რიგის ყველა რეკომენდაციის განხორციელება და შესაბამისად, მხოლოდ კონკრეტულ და არასრულ ცვლილებებს, მაღალი ალბათობით, არ მოჰყვება შედეგი.

რეკომენდაციები, ძირითადად, მიმართულია: ბაზარზე კონკურენტული გარემოების გაუმჯობესებაზე – რისი მიღწევაც შესაძლებელია გენერიკული რეცეპტით/დანიშნულებით; ბაზარზე მედიკამენტების ხარისხის გაუმჯობესებაზე – მიიღწევა მედიკამენტების წარმოებისა და იმპორტის დონეზე, GMP სტანდარტის დანერგვით; ინტერესთა კონფლიქტის შემცველ ურთიერთობებთან დაკავშირებით, შესაბამისი სანქციების დაწესება საკანონდებლო დონეზე, ასევე, ფარმაცევტის მიერ მომხმარებლისთვის მედიკამენტების შეთავაზებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო მოწესრიგება; ელექტრონული რეცეპტი/დანიშნულება, რაც წარმოადგენს დარგის მარეგულირებლის მიერ ბაზრის ეფექტიანი კონტროლის უმთავრეს საშუალებას; მკურნალობის გაიდლაინების სრულყოფა, სადაც აქტიურად უნდა ჩაერთონ დარგობრივი ასოციაციები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მედიკამენტების ჭარბი მოხმარება და ა.შ.

საბოლოო ჯამში, მონიტორინგის ანგარიშით წარდგენილი რეკომენდაციებისა და შესაბამისი ცვლილებების შედეგად, მომხმარებელი მედიკამენტებზე გასაწევ დანახარჯებს მნიშვნელოვნად დაზოგავს, რაც კონკრეტული ჯგუფების დონეზე, სააგენტოს დეტალურად აქვს დათვლილი.

– თქვენც ახსენეთ და რეალურად, პრემიერ-მინისტრის ამ ინიციატივის საფუძველია ფარმაცევტული ბაზრის ის კვლევა, რომელიც სააგენტომ განახორციელა. მართალია, ნაწილობრივ ვისაუბრეთ კიდეც, მაგრამ „ვერსიის" მკითხველებისთვის განვმარტოთ, რა პრობლემები გამოიკვეთა კვლევისას?

– სააგენტოს რეკომენდაციების ძირითადი მიზანია, მედიკამენტებზე ფინანსური და ფიზიკური ხელმისაწვდომობის

გაზრდა ბაზარზე კონკურენციისა და, ზოგადად, კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების გზით. ფარმაცევტული ბაზარი მეტად სპეციფიკურია, კერძოდ, ბაზარზე მოთხოვნის განსაზღვრა ხდება რეცეპტის/დანიშნულების გამომწერი პირის დონეზე და მომხმარებელი დღეს არსებული საკანონმდებლო რეგულირების პირობებში, მოკლებულია შესაძლებლობას, გააკეთოს რეალური არჩევანი. რეცეპტის დონეზე მედიკამენტის სავაჭრო დასახელების მითითებით, მომხმარებელს ეზღუდება არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, რაც ამავდროულად, კონკურენციის შეზღუდვასაც ნიშნავს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფარმაცევტულ ბაზარზე, იდენტური სამკურნალო ეფექტის მისაღწევად, შეიძლება, სხვადასხვა სავაჭრო დასახელების მედიკამენტი იქნეს გამოყენებული, რომელთა მთავარი აქტიური ნივთიერებაც, ასევე, იდენტური ან ურთიერთაჩამანაცვლებელია.

რეცეპტის დონეზე, მხოლოდ სავაჭრო დასახელების მითითება იწვევს კონკრეტული ანგარებიანი ურთიერთობის, იგივე, ინტერესთა კონფლიქტის შემცველი ურთიერთობების ჩამოყალიბების შესაძლებლობასაც. შედეგად, მომხმარებელი, შეზღუდული კონკურენციის პირობებში, მედიკამენტებში იხდის გაცილებით მეტს. მნიშვნელოვანი საკითხია, ასევე, მედიკამენტების ხარისხი, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში იმპორტირებულ და წარმოებულ მედიკამენტებთან დაკავშირებით, GMP სტანდარტის ამოქმედებასთან. ამასთან ერთად, საკანონმდებლო დონეზე, დარგის მარეგულირებელს არ გააჩნია ბაზრის კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები.

P.S. კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის სააგენტომ „ვერსიას" მიაწოდა საერთაშორისო მედიკამენტების ჩამონათვალის ნაწილი, რომელიც იყიდება, როგორც თურქეთში, ასევე, საქართველოში. ცხრილში აშკარად ჩანს, რამხელა განსხვავებაა თურქეთსა და საქართველოში არსებულ ფასებს შორის!

დასახელება	მწარმოებელი	ქვეყანა	ფარმ-ჯგუფი	ჯენერიკი	მესაყიდი ფასი საქართველო			საცალო გასაყიდი ფასი დოლარი		
					თურქეთი	საქართველო	სხვაობა %	თურქეთი	საქართველო	სხვაობა %
კრესტორი ტაბ. 10მგ N28	Astra Zeneca	შვედეთი	კარდიოლოგია	rosuvastatin	1.12	15.00	1241%	1.64	17.78	987%
ტრიპლიქსამი ტაბ.10/2.5/10მგN30	Servier	საფრანგეთი	კარდიოლოგია	perindopril+indapamid	1.46	12.65	765%	2.14	14.38	571%
უპიქსი ტაბ. 500მგ N50	Abdi ibrahim	საფრანგეთი	უპილეფსია	levetiracetam	4.36	29.70	581%	6.35	33.97	435%
აუგმენტინი ტაბ. 1გ N14	UCB	ბელგია	ანტიბიოტიკი	amoxicillin+clavulanic	1.19	5.18	337%	1.74	5.98	244%
აკამისი 27.5მკგ/120დოზ. სპრეი	GlaxoSmithkline	დიდი ბრიტანეთ	რესპირაცია	fluticasone	1.13	7.57	572%	1.65	8.74	430%
არიმიდექსი ტაბ. 1მგ N28 -S	Astra Zeneca	შვედეთი	ონკოლოგია	anastrozole	4.71	17.00	261%	6.85	22.81	233%
გალვუს მეტი ტაბ.50/1000მგN60-S	Novartis Pharma	შვეიცარია	დიაბეტი	vildagliptin+metformin	3.25	21.12	550%	4.74	25.17	432%
ფემარა ტაბ. 2.5მგ N30-S	Novartis Pharma	შვეიცარია	ონკოლოგია	letrozole	3.83	30.00	684%	5.48	40.41	638%
მადოპარი კაფს. 125მგ N100	Hoffmann La Roch	შვეიცარია	პარკინსონი	levodopa+benserazide	5.00	17.53	251%	7.50	18.47	146%
ამარილი ტაბ. 4მგ N30	Sanofi	საფრანგეთი	დიაბეტი	glimepiride	0.62	3.19	416%	0.91	3.94	333%
კორდარონი ტაბ.200მგ N30	Sanofi	საფრანგეთი	კარდიოლოგია	amiodarone	1.19	3.45	191%	1.74	4.03	132%
პლავიქსი მ.ტაბ. 75მგ N28	Sanofi	საფრანგეთი	კარდიოლოგია	clopidogrel	2.31	7.95	245%	3.37	10.41	209%
ქსარელტო ტაბ. 20მგ N28	Bayer	გერმანია	პემოსტაზი	rivaroxaban	6.64	36.70	453%	9.46	43.32	358%
ნორვასკი ტაბ. 5მგ N30	Pfizer	აშშ	კარდიოლოგია	amlodipine	1.07	3.08	189%	1.56	3.99	155%
დუფასტონი ტაბ.10მგ N20	Abbot	აშშ	ჰორმონები	dydrogesterone	1.88	8.29	341%	2.75	8.09	195%
ფიზიოტენზი მ.ტაბ 0.2მგ N14	Abbot	აშშ	კარდიოლოგია	moxonidine	0.53	5.19	889%	0.77	5.13	570%
ფიზიოტენზი მ.ტაბ 0.4მგ N14	Abbot	აშშ	კარდიოლოგია	moxonidine	0.69	1.98	189%	1.01	3.27	225%
იანუმეტი ტაბ. 50მგ/ 850მგ N56*	MSD	აშშ	დიაბეტი	Sitagliptin-Metformin	5.89	35.98	511%	8.33	47.33	468%
იანუმეტი ტაბ. 50მგ/1000მგ N56*	MSD	აშშ	დიაბეტი	Sitagliptin-Metformin	4.20	35.98	757%	6.10	42.91	604%
აკლასტა ფლაკონი 5მგ/100მლ-S	Novartis Pharma	შვეიცარია	რევმატოლოგია	zoledronic acid	39.45	150.00	280%	51.23	288.13	462%
ელიქვისი ტაბ.2.5მგ N60	Pfizer	იტალია	პემოსტაზი	Apicsaban	9.60	50.00	421%	13.05	48.50	272%
ელიქვისი ტაბ.5მგ N60	Pfizer	იტალია	პემოსტაზი	Apicsaban	9.68	50.00	417%	13.05	42.88	229%
ნექსიუმი ტაბ. 40მგ N14	Astra Zeneca	შვედეთი	გასტრო-ენტეროლოგ	Esomeprazole	0.49	5.70	1057%	0.72	7.23	899%

კანონები, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა

მაკა რუხაძე

2022 წლის იანვარი ახალი რეგულაციებითა და ცვლილებებით დაიწყო, თუმცა გარკვეული კანონები წლის განმავლობაში შევა ძალაში. „ვერსია“ იმ ცვლილებებს გთავაზობთ, რომლებიც 1-ელი იანვრიდან უკვე ამოქმედდა, მომდევნო ნომერში კი იმ კანონპროექტებს შემოგთავაზებთ, რომლებიც მიმდინარე წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს შევა ძალაში.



რა იცვლება მეწარმეობის შესახებ კანონში, თამბაქოს კონტროლსა და აზარტული თამაშობების მოწყობაში

2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ახალი კანონი „მეწარმეთა შესახებ“. რა თქმა უნდა, კანონი, რომელიც 1994 წელს მიიღეს, ცალსახად მოძველებული იყო იმის მიუხედავად, რომ 1994 წლიდან დღემდე უამრავჯერ შეიცვალა.

ახალი კანონი, რომელიც უკვე ძალაშია, სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა დაფუძნების, რეგისტრაციის საკითხებსა და პროცედურებს აწესრიგებს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ ახალი კანონმდებლობიდან გამომდინარე, შეიქმნა ერთიანი ელექტრონული პორტალი, სადაც განთავსდება: რეგისტრაციის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილებები; სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები; საზოგადოების მიერ კანონმდებლობის შესაბამისად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

„კანონიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ნოემბრის N791 ბრძანებით, სამეწარმეო საზოგადოებების სტანდარტული წესდებები დამტკიცდა, რომელთა გამოყენება საწარმოს სურვილის შესაბამისად შეეძლება. ახალი რეგულაციებით, 2022 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ სუბიექტებს, სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ორწლიანი ვადა განესაზღვრათ. სუბიექტებს შესაძლებლობა ექნებათ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ორი წლის განმავლობაში მათთვის სასურველ დროს მიმართონ და შესაბამისი ცვლილებები განახორციელონ“, – ვკითხულობთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაში.

ცვლილებები შევიდა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც“.

კერძოდ, 2022 წლის 1 იანვრიდან, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ტაქსიში, სანაოსნო საშუალებებსა და საბაგიროში თამბაქოს მოწევა აიკრძალა.

მეტიც, ცვლილებების თანახმად, თამბაქოს მოწევა იკრძალება საკუთრებაში არსებულ ავტომობილში, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მანქანაში არასრულწლოვანიც ზის. შესაბამისი სანქციები წესდება ინტერნეტ-სივრცეში, თამბაქოსთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის რეკლამაზე. გარდა ამისა, კანონს დაემატა ტერმინი – „ბრენდის გაფართოება“. ეს ნიშნავს, რომ დაწესებულება ვალდებული იქნება, არ დაუშვას იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა, თამბაქოს მოხმარების შედეგად არსებული კვამლის, აეროზოლის, ფერფლის, ნამწვის არსებობა, აგრეთვე, ჩილიმისა და საფერფლის განთავსება.

კიდევ ერთი რეგულაცია, რომელიც 2022 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდა, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებია.

ეს კანონპროექტი პარლამენტმა 2021 წლის დეკემბრის ბოლო კვირაში განიხილა მესამე მოსმენით და 82 ხმით, ერთის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა კიდეც.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, საკანონმდებლო პაკეტით, აზარტულ და მომგებიან თამაშებთან დაკავშირებული კანონმდებლობა მკაცრდება. მისი შემუშავების აუცილებლობა სათამაშო ბიზნესის სფეროში საზოგადოების მაღალმა საჯარო ინტერესმა განაპირობა. პროექტის მიხედვით, აზარტულ და მომგებიან თამაშობებში მონაწილეების ასაკობრივი ზღვარი გაიზარდა.

„კერძოდ, 25 წლამდე ასაკის პირთა (18 წლამდე უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის) თამაშში მონაწილეობის აკრძალვას, დამოკიდებულ პირთა სიისა და აკრძალულ პირთა სიის შექმნას. კანონპროექტი საჯარო მოხელეებსა და სოციალურად დაუცველ პირებს თამაშის უფლებას უკრძალავს“.

როგორ გაიფლანგა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო სახსრები

მაკა რუხაძე

უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები და დარღვევები ავტოპარკის მართვაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ზუგდიდის მუნიციპალიტეტით დაინტერესდა. აუდიტის ანგარიში, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2019-2020 წლების საქმიანობას ეხება. როგორც მოსალოდნელი იყო, ფინანსური დარღვევები ზუგდიდის მუნიციპალიტეტშიც გამოვლინდა – ძირითადად, უხარისხო ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და ავტოპარკის მართვაში. თუმცა მთავარი დარღვევა, რაც სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს, მუნიციპალიტეტის ქოლგის ქვეშ არსებულ არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირებს (ააიპ) ეხება. კერძოდ, აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ბოტანიკურ ბაღში“ 6 მოლარე იყო დასაქმებული და ხელფასს იღებდა მაშინ, როდესაც „ბოტანიკურ ბაღში“ შესვლა უფასოა!

უხარისხო ინფრასტრუქტურული პროექტები

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, 4 743 200 ლარის ღირებულების შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი დაზიანებულია. მუნიციპალიტეტს არ შეუსწავლია პრობლემის გამომწვევი მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები ზიანის ასანაზღაურებლად.

„2019-2020 წლებში, მუნიციპალიტეტმა შპს „საგზაოსგან“ შეისყიდა რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, თოდუას ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 938 500 ლარი. ხელშეკრულება გულისხმობდა საგზაო სამოსისა და ზოგიერთ მონაკვეთზე რკინა-ბეტონის კიუვეტების მოწყობას. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებდნენ შპს „თი აი ჯი აუდიტესკორტისა“ და შპს „ექსპერტ ჰაუსის“ წარმომადგენლები. მათ მიერ წარდგენილი დასკვნით ირკვევა, რომ საექსპერტო კომპანიამ დაადასტურა შპს „საგზაოს“ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა, ღირებულება და ხარისხი. ეს დადასტურდა მუნიციპალიტეტში შექმნილი სამუშაოს მიმღები ჯგუფის მიერ, რის საფუძველზეც, მიმწოდებელს აუნაზღაურდა 913 300 ლარი. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა აღნიშნული პროექტი. გამოვლინდა, რომ რკინა-ბეტონის კიუვეტი არ არის მოწყობილი პროექტის მიხედვით! კერძოდ, 16 სხვადასხვა მონაკვეთზე მოწყობილი ბეტონის სანიაღვრე არხი არ ემთხვევა პროექტით გათვალისწინებულ პიკეტაჟს. შედეგად, სანიაღვრე სათანადოდ არ ატარებს წყალს და იტბორება ზოგიერთი მოსახლის მიმდებარე ტერიტორია. ამდენად, რკინა-ბეტონის კიუვეტები, რომლებზეც დაიხარჯა 109 500 ლარი, მოწყობილია პროექტის შეუსაბამოდ. გარდა აღნიშნული შემთხვევისა, დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ 11 ხელშეკრულების ფარგლებში, დაზიანებულია 3 804 700 ლარის ღირებულების შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ნაწილი“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება-ჩაბარებას და პროექტების მდგომარეობის შესახებ მერიის დროულ ინფორმირებას. აუდიტორების მტკიცებით, სამუშაოების მონიტორინგის, მიღება-ჩაბარების, მოვლა-პატრონობისა და საგარანტიო ვადის ეტაპზე არსებული მართვის სისუსტეების გამო, დაზიანებულია ინფრასტრუქტურული პროექტები. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, საგარანტიო პერიოდში პროექტების კონტროლზე პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით, მათ მიმართ არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

ხარვეზები ავტოპარკის მართვაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2019-2020 წლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. კერძოდ, ნაცვლად 10 სამორიგეო მანქანისა, მუნიციპალიტეტი სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 22 სამორიგეო მანქანით და კერძო საკუთრებაში არსებული 169 ავტომობილით.

„2019-2020 წლებში, მუნიციპალიტეტმა გახარჯა 601 200 ლარის ღირებულების საწვავი, მათ შორის, 228 500 ლიტრი ბენზინი, ღირებულებით – 442 500 ლარი და 77 000 ლიტრი დიზელი, ღირებულებით – 158 700 ლარი. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ავტომობილებზე საწვავის ხარჯვის დოკუმენტაცია, მათ შორის, „აგაი“ სისტემის მონაცემები. გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებში ერთჯერადად ჩასხმულია ავტომობილების ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობის საწვავი. კერძოდ, 44 ავტომანქანაზე, ავტომობილის ავზის მოცულობაზე გადაჭარბებით საწვავის ჩასხმის 863 შემთხვევა გამოვლინდა. ამ ავტომანქანებზე ჯამურად სულ ჩასხმულია 145 100 ლარის ღირებულების 71 908 ლიტრი საწვავი. ავტომობილების ავზის მოცულობაზე მეტი საწვავის ჩასხმა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ე.წ. ჩიპი მოხსნილია და მიმაგრებულია სხვა ავტომობილის ავზზე ან/და სხვა სახის რეზერვუარზე“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ზუგდიდის მერიაში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს. ასევე, „აგაი“ სისტემის არსებული მეთოდით გამოყენება, მათ შორის, ავტომობილის ავზიდან დამაგრებული „ჩიპის“ მოხსნისა და გადაადგილების შესაძლებლობა, ერთჯერადად ავტომობილების ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით საწვავის ჩასხმის ფაქტები, არასამსახურებრივი ავტომობილების საწვავით გამართვის რისკებს წარმოშობს.

ააიპ-ების საქმიანობაში არსებული ხარვეზები

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ-ებში დასაქმებულ თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნობა საჭიროებებთან შედარებით, მაღალია. ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა ამ ნაწილში.

2019-2020 წლებში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 34.5%-ს სუბსიდია შეადგენდა. სუბსიდიით დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ-ები და შპს-ები, რომელთა ხარჯმა 41 259 500 ლარი შეადგინა! დაფუძნებული ააიპ-ების საქმიანობის შესწავლით გამოვლინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები გაურკვეველია, ვინაიდან არ არსებობდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

„მაგალითად, ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრში“ შექმნილი იყო ფიგურული სრიალის განყოფილება. 2019 წელს, ამ სტრუქტურაში დასაქმებული იყო 13, ხოლო 2020 წელს – 7 პირი. მათ ხელფასებზე, 2019 წლის აპრილიდან 2020 წლის ივლისამდე, დაიხარჯა 85 800 ლარი. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 2 ივლისს, გასხვისდა ყინულის მოედნის ტერიტორია, ხოლო 2020 წელს, განხორციელდა მოედნის დემონტაჟი. შესაბამისად, ხელფასები გაიცემოდა პირებზე, რომლებიც წარმოადგენდნენ იმ განყოფილებას, რომელიც პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა!“

მეტიც, 2020 წელს, ააიპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრში“, 6 მოლარე-კონსულტანტი იყო დასაქმებული და მათ ხელფასებზე 50 300 ლარი დაიხარჯა. არადა, აუდიტის ჯგუფმა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი დაათვალიერა და გაარკვია, რომ ბაღში შესვლა უფასოა და სალაროები არ ფუნქციონირებს! შესაბამისად, ხელფასებს გასცემდნენ პირებზე, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები შესრულებადი არ არის!

სამართალი

№2 19 იანვარი 2022 წ

ევროპის ციხეები ქართველი პატიმრებითაა სავსე?!

ბათო ჯაფარიძე

„ქართულ ციხეში სიამოვნებით ჩავჯდები, თუ მე და მიშა ერთ საკანში ვიქნებით“ – რას ურჩევს „კაი ბიჭი“ ექსპრეზიდენტს

ევროპაში გამკაცრებული რეგულაციების ფონზე, იქაურებსაც კი უჭირთ არსებობა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში იქნებიან ლეგალურად თუ არალეგალურად მყოფი ქართველი ემიგრანტები. ყველაზე დიდი პრობლემები მათ აქვთ, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში სამუშაოდ კი არა, მოსაპარად არიან წასულები. ერთადერთი პლუსი მათთვის ისაა, რომ ქუჩაში პირბადით მოძრაობენ, მაგრამ საქართველოს შს სამინისტროსა და ევროპელ სამართალდამცავებს შორის, რამდენიმე წლის წინ დაწყებული მჭიდრო თანამშრომლობა შედეგს აშკარად იძლევა – ტელეფონებზე „საჭირო თემებზე“ საუბარი, პრაქტიკულად, გამორიცხულია, რადგან საეჭვო პირებს უსმენენ და უსმენენ ყურადღებით. საქართველოში დაბრუნება კი ჩანს ერთ-ერთ გამოსავლად, მაგრამ როგორც წინა ხელისუფლების დროს, ისე ახლაც, ე.წ. კაი ბიჭებს და „უბნის ავტორიტეტებს“ სამართალდამცავები არ სწყალობენ და პირდაპირ ეუბნებიან, რომ თუ ქვეყანას არ დატოვებენ, შესაძლოა, თავი კვლავ ციხეში ამოჰყონ.

ჩვენ ესპანეთში მცხოვრებ ერთ-ერთ ქართველ ემიგრანტს დავუკავშირდით, რომელიც პირინეებზე, არალეგალურად ცხოვრობს და იმის მიუხედავად, რომ ბინადრობის მოპოვების უფლებაზე საბუთები აქვს შეტანილი, დარწმუნებულია, მალე გამოაძევებენ ქვეყნიდან და შემდეგ საქართველოში იმაზე უნდა „იჩალიჩოს “, როგორმე, კვლავ არალეგალად დაბრუნდეს ევროპის რომელიმე ქვეყანაში, რადგან საქართველოში ერთადერთი პერსპექტივა ციხეა.

„აღარ არის ევროპა ისე საოცნებო და მიმზიდველი, როგორც აქამდე იყო. ყველამ ისწავლა, რომ თუ ქართველი არ მუშაობს, ე.ი. იპარავს და ეს იმას ნიშნავს, რომ გამადიდებელი შუშით გაკვირდებიან. პოლიციის ქართველი ატაშეები მართლა შესაშურად მუშაობენ, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ხელის თუ ფეხის განძრევა გვიჭირს. რას ვიზამთ, ისინი თავის საქმეს აკეთებენ, ჩვენ – ჩვენსას. არ ვიცი, რომელმა მოიფიქრა, მაგრამ ქართველების გაგზავნილ ამანათებსაც რენტგენზე განსაკუთრებულად აკვირდებიან და თუ ერთხელ გაგზავნი ლეპტოპსა და ტელეფონებს, მეორედ, მესამედ, მერე უკვე თვალთვალს იწყებენ. ოქროულის გაგზავნა უდიდესი რისკია, სჯობს, ვინმეს გაატანო. ევროპის ციხეებში რეკორდულად ბევრი ქართველი ზის, მაგრამ რა გავაკეთოთ? – სხვა რამ არ ვიცით და საქართველოშიც ვერ ვბრუნდებით, რადგან აქ თუ საქმეზე არ დაგიჭირეს და არ დაგიმტკიცეს, არ გიჭერენ, ჩვენთან კი თუ ვერ დაგიჭირეს, ჩაგიდებენ და ისე გაგიშვებენ „ზონაზე“.

სხვათა შორის, ეს პრაქტიკა რამდენჯერმე აქაც გამოიყენეს, ერთეული შემთხვევებია და გვგგონია, რომ ესეც ქართველი ატაშეების დამსახურებაა...

საქართველოდან წამოსვლა არ მინდოდა, ცოლი მოვიყვანე, ორსულად იყო, მეგობრებთან ერთად, მაღაზია ავიღე იჯარით და მაშინ დამადგნენ, ყველაფერი ეს შენი საფარია, სინამდვილეში, ისევ მოპარვას დაიწყებო. არ გაჭრა შთაგონებამ, ცოლ-შვილი, დაჭკვიანება და სხვა თემები. წადიო და წამოვედი, გამომაგდეს ჩემი ქვეყნიდან. აქ კიდევ არც მაღაზიას მოგცემს ვინმე იჯარით და რომ გაგიჭირდეს, უბანში ვერავის მიადგები...

ისე, ქართულ ციხეში სიამოვნებით ჩავჯდებოდი, ოღონდ ერთი პირობით – ერთ საკანში თუ არა, ღია ზონაზე უნდა ვიყოთ მე და მიშა. არ გეგონოთ, რამეს დავუშავებ, ან ფიზიკურად შევეხები. არა, მაინტერესებს, რას გრძნობს ადამიანი, რომელმაც მთელი ერი კრიმინალად გამოაცხადა. მე თუ მკითხავთ, ციხე მიშას შანსი იყო, გამოსწორების შანსი. არ ვხუმრობ. თავად განსაჯეთ და გადახედეთ – 1998 წლიდან რომ ამოქოქა მაგ კაცმა, დღემდე „აბაროტი“ არ დაუგდია. ლამის 25 წლის განმავლობაში, მას არ ჰქონია ერთი, ერთადერთი კვირაც კი, მშვიდად დამჯდარიყო და დაფიქრებულიყო, რა გააკეთა, რა გააფუჭა, როგორ უნდა იმოქმედოს მომავალში, კარგია ეს, თუ ცუდი. სულ ვამბობდი, მიშას ციხეში თუ ჩასვამენ, მისთვის შველა იქნება, გამოსწორდება-მეთქი. მას დაფიქრების შესაძლებლობა ექნებოდა, შესაძლებლობა, ნამოქმედარი შეეფასებინა გვერდიდან, სხვა გადმოსახედიდან. ასე ხომ მისი მხარდამჭერები უკრავენ ტაშს და უკიჟინებენ, მიდი, მაგარი ხარო. რეალობა კი სხვაგვარია. არც ამან უშველა, არ აძლევენ მოდუნების საშუალებას. ჯერ ერთი ადვოკატი შედის, მერე – მეორე, მესამე, მერე – დეპუტატები, ქალები, ჩართავს ოპოზიციურ არხებს და იქიდან მისი ქება-დიდება იღვრება, ლამის, „გალობანი სინანულისანი“ დაწეროს და აღმაშენებლად გამოგვაცხადებინოს თავი. ეს არის მთავარი მიზეზი, რომ ის ჯერაც ვერ მოვიდა აზრზე, რა ხდება, როგორ ხდება... არადა, მართლა ერთი კვირაა საკმარისი, რომ ტელევიზორი არ ჩართოს, არავინ შევიდეს, იჯდეს და იფიქროს. აი, რიგითი პატიმრები ამაში მართლა დაეხმარებიან, დეტალებში ეტყვიან, რა არის კარგი და რა – ცუდი. მას ხომ 2003 წლის შემდეგ, რიგითი ადამიანებისთვის ყური არ დაუგდია, არ მოუსმენია, მხოლოდ საკუთარ გარემოცვას უსმენდა, მათი ტყვე იყო.

ახლაც ასეა, ჰგონია, რომ დედამისის, ნიკა გვარამიასა და იმ უკრაინელი ნაშის გარდა, ყველას მაგის სიკვდილი უნდა. ადვოკატების ადგილზე რომ ვიყო, აუცილებლად დავაჯერებდი, რომ საკანში მასთან, მინიმუმ, ერთი პატიმარი შეეშვათ, რიგითი პატიმარი, „პეხოტა“, არც „ბლატნოი“, არც „კაზიოლი“ ან „ქათამი“, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი პატიმარი. სხვა თუ არაფერი, ტელევიზორს მაინც გადაურთავდა ხოლმე სხვა არხზე და ერთი და იგივეს მოსმენით აღებულ „რაზგონს“ დააგდებინებდა.

თუ საკანში სხვა პატიმრის ყოფნა საფრთხეა, გარეთ სეირნობის საშუალება მისცენ, ოღონდ რამდენიმე პატიმართან. დამიჯერეთ, თუ მოინდომებენ „ნადზირატელები“, მოსისხლე მტრები ისეირნებენ ერთად ისე, რომ თმის ღერიც არ ჩამოუვარდებათ“... ხშირად გამიგია რიგითი პატიმრებისგან, ან უბრალოდ, იმ ადამიანებისგან, რომლებიც ციხეში არ მსხდარან, რატომ არ გადადის ე.წ. შავი სამყარო შურისძიებაზე, რატომ არ მოკლეს მიშა მაშინ, როცა უკრაინაში იყო, ან რატომ არ აგებინეს პასუხი, იგივე, დათა ახალაიას, რომელიც ევროპაში მოძრაობას, ადეიშვილს, მუხაძეს... ჰაერზე საუბარი ძალიან მარტივია. ციხეში როცა ხარ, ჯოჯოხეთში ხარ და იქ დაბრუნება არავის სურს. შურისძიება, თავისთავად, დანაშაულის ჩადენას ნიშნავს, რაც პერსპექტივაში, კვლავ ციხეში დაბრუნებასთან ასოცირდება.

არის სხვა ვარიანტიც, ვინმეს გადაუხადო, ერთი გასროლა და მორჩა. ჯერ ერთი, უმრავლესობას ასეთი თანხა არ აქვს და მეორეც, ის კრიმინალები, რომლებსაც ამდენი ფული აქვთ, მაშინაც კარგად იყვნენ, ახლაც კარგად არიან და სულაც არ თვლიან წინა სისტემის ჯალათებს პირად მტრებად. საუბრებში ამბობენ, რომ მტრები არიან, მაგრამ სხვას ფიქრობენ.

ცნება „კანონიერი ქურდი“ ფურცელზე დარჩა, ქურდიც კი ვერ გახდები, თუ ფული არ გაქვს, არადა, ადრე ფული თუ გქონდა, იმ შემთხვევაში ვერ გახდებოდი ქურდი, უნდა აგეხსნა, საიდან, როგორ... ახლა კიდევ „სხოდკა“ რომ გამართო, მინიმუმ, 5-ვარსკვლავიანი აპარტამენტები უნდა უქირავო, საუკეთესო რესტორანში კვებო, მერე საჩუქრები ჩამოურიგო, რომელის ფასიც 2-3 ათასი ევრო უნდა იყოს და თუ გადმოგხედეს მოწყალე თვალით, „სხადნიაკზე“ ქურდადაც გამოგაცხადებენ და მეორე დღესვე დაიწყებენ შენს კბენას და ძველი ცოდვების მოძიებას.

ყველაფერი ეს სიცილიური მაფიის ცხოვრების წესს უფრო დაემსგავსა, ოჯახში მიღებას ჰგავს. დასრულდა „ქურდული“ რომანტიზმი და იმედი მაქვს, ამას საქართველოშიც მალე მიხვდებიან. იმედია, ჩვენ იმ ახალგაზრდობის ბოლო წარმომადგენლები ვიქნებით, რომლებსაც „კაი ბიჭობა“ და „ქურდული დვიჟენია“ მოგვწონდა და გვეამაყებოდა.

მეტიც, იმედი მაქვს, რომ უბანში, სადაც უნდა ვცხოვრობდე, ჩემი შვილი საუკეთესო მოსწავლე იქნება და არა – უბნის „ავტორიტეტი“.

21 წლის ბიჭმა ორსული ქალი მოკლა

ბათო ჯაფარიძე

რა გახდა მკვლელობის მიზეზი და რა ინციდენტი მოხდა მკვლელობამდე მაღაზიაში

რა დროც უნდა იყოს, ორსული ქალის მკვლელობა ყოველთვის დიდ რეზონანსს იწვევს და უმკაცრესად ისჯება. რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც საქართველოა და იმის მიუხედავად, რომ 90-იანი წლების გარიჟრაჟზე, სასტიკი დანაშაულებით ვერავის გააკვირვებდი, ორსული ქალის მკვლელობა მაინც მძიმედ იქნა აღქმული, თანაც თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ სკვერში, დღისით, ქალი ისე ჩუმად გამოასალმეს სიცოცხლეს, ხმაც არავის გაუგია და არავის არაფერი დაუნახავს. იქვე, ცელოფნით, რამდენიმე მჟავე კიტრი ეგდო. სავარაუდოდ, ქალს ჩანთით დაჰქონდა და სკვერში, სკამზეც იმისთვის ჩამოჯდა, რომ ეჭამა, მაგრამ არ დასცალდა. სკამზე გაწოლილმა ორსულმა ქალმა გამვლელების ყურადღება მალე მიიპყრო, ვიღაც მადლიანმა საავადმყოფოშიც ოპერატიულად გადაიყვანა და... ექიმებმა თითქმის რვა თვის ბავშვის გადარჩენა მოახერხეს.

ექსპერტის დასკვნით, თავიდან ქალის გაგუდვა სცადეს, შემდეგ კი გულ-მკერდის არეში დანა ორჯერ დაარტყეს. სასიკვდილო მეორე ჭრილობა გახლდათ, რომელმაც გული დააზიანა და ექსპერტისვე ცნობით, სავარაუდოდ, ქალმა იმიტომ ვერ დაიყვირა, რომ ყელზე ქამარი ჰქონდა შემოხვეული. გარდაცვლილს თან საბუთი არ ჰქონდა და ვერავინ იცნო ანუ სავარაუდოდ, სკვერის ახლოს არ ცხოვრობდა. სამართალდამცავებს ცხელ კვალზე საქმის გახსნა არ გამოუვიდათ და რაც ყველაზე ცუდი იყო, მომდევნო დღეების განმავლობაშიც არავინ მოაკითხა ანუ გარდაცვლილ ორსულ ქალს არავინ ეძებდა. არც ის ვარაუდი გამართლდა, რომ გოგო რომელიმე რაიონიდან იყო ჩამოსული – არც რაიონულ განყოფილებაში შესულა განცხადება ორსული ქალის დაკარგვის თაობაზე. ერთი შეხედვით, აბსურდად ჩანდა, მაგრამ სამართალდამცავებმა გინეკოლოგიური განყოფილებების გადამოწმება დაიწყეს იმის იმედად, რომ შესაძლოა, ქალი, სწორედ დედაქალაქში ყოფილიყო აღრიცხვაზე და მის მკურნალ ექიმს ეცნო. სასწაული მოხდა და ერთ-ერთი კლინიკის სამეანო განყოფილებაში ქალი არათუ იცნეს, არამედ, მისი ანკეტაც ჰქონდათ, სადაც მისამართი და პრაქტიკულად, ყველა მონაცემი ეწერა. საცხოვრებელი სახლი გარდაცვლილს ნაქირავები ჰქონდა და მილიციის თანამშრომლებმა პატრონს გააღებინეს. ოთახში ყველაფერი იდეალურად სუფთად იყო დალაგებული, თუმცა ოპერმუშაკების ეჭვი მამაკაცის ზურგჩანთამ გამოიწვია.

მეზობლების თქმით, ქალთან კაცი არასდროს დაუნახავთ, ის არც ბავშვის მამის ვინაობას ამხელდა და მამაკაცის ჩანთა, თანაც მამაკაცის ნივთებით, მის სახლში არ უნდა ყოფილიყო. ვინაიდან მეზობლების დაკითხვას შედეგი არ მოჰყოლია, გამომძიებლები ახლომდებარე ჯიხურებსა და მაღაზიებს მოედვნენ. ერთ-ერთი მაღაზიის გამყიდველმა გაიხსენა, რომ გარდაცვალების წინა დღეს, ქალი მაღაზიაში ვიღაც ახალგაზრდა კაცთან ერთად შევიდა. წყვილი კამათობდა, რის შემდეგაც კაცმა ქალს ლოყაში გვარიანი ალიყური გააწნა და იქაურობა გინებით დატოვა. ქალი მაღაზიიდან აცრემლებული ისე გავიდა, რომ არაფერი უთქვამს.

სამართალდამცავებმა ჩათვალეს, რომ ჩანთას, რომელიც გარდაცვლილის სახლში ნახეს, აუცილებლად მიაკითხავდა პატრონი. ამიტომ, იქ ჩასაფრება მოაწყვეს და ორი ოპერმუშაკი 72 საათი ელოდა სავარაუდო ეჭვმიტანილს. მესამე ღამეს ისიც გამოჩნდა, ჩუმად გადაატრიალა საკეტი და ბინაში შევიდა, იქ კი იარაღშემართული თანამშრომლები ელოდნენ. ღამის სტუმარი მარტივად დააკავეს და განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ გაარკვიეს, რომ დაპატიმრებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, ციხიდან ერთი თვის გამოსული, გარდაცვლილის ალალი ძმა იყო. მან აღიარა, რომ მაღაზიაში დას მართლაც შემოარტყა, მაგრამ მხოლოდ სიბრაზისა და სირცხვილის გამო.

რისთვის ბრაზობდა და რისი რცხვენოდა გამოცდილ კრიმინალს? და ცოცხალი თავით არ ამბობდა, ვისგან იყო ორსულად, აღიარებდა, რომ შეცდა, მაგრამ მზად იყო მარტოხელა დედობისთვის და ბავშვის დაბადებას მოუთმენლაად ელოდა. ასეთმა აღიარებამ დაკავებულის მდგომარეობა უფრო დაამძიმა. გამომძიებლები არ გამორიცხავდნენ, რომ ძმამ და სასიკვდილოდ გაიმეტა, თუმცა დამტკიცება ძნელი იქნებოდა. ყველაფერთან ერთად, დაკავებულმა დაამტკიცა, რომ სამი დღის მანძილზე, ყოფილ თანასაკნელთან იყო სტუმრად და დის გარდაცვალების შესახებ არაფერი იცოდა. გადაამოწმეს და გაარკვიეს, რომ მკვლელობის დროს, ძმა მართლაც არ იმყოფებოდა ქალაქში. მილიციის თანამშრომლები ორი კრიმინალის ჩვენებას არ დასჯერდებოდნენ, მაგრამ მეზობლებმაც თქვეს, რომ მათი ქეიფისა და სიმღერის ხმა ესმოდათ და ძილი დაუფრთხათ.

ქალის სამსახურში გამომძიებლებს უთხრეს, რომ თუ ვინმეს ეცოდინებოდა რამე, ეს მისი უახლოესი მეგობარი გახლდათ. ისიც ორსულაად იყო და გოგონები თავისუფალ დროს, თითქმის სულ ერთად ატარებდნენ. მეგობარი გოგონა თავისზე 20 წლით უფროს კაცზე გახლდათ დაქორწინებული, კაცმა მის გამო ოჯახი მიატოვა, მაგრამ პირველი ოჯახის წევრთა მხრიდან შურისძიება ლოგიკაში არ ჯდებოდა – თუ ისინი ვინმეს მოკვლას გადაწყვეტდნენ, ეს გარდაცვლილის მეგობარი იქნებოდა, თუმცა... გაჩნდა ვერსია, რომ 20 წლით უფროს მამაკაცს, შესაძლოა, მეორე გოგონასთანაც ჰქონოდა ურთიერთობა და საბოლოო ჯამში, თავადაც მოეკლა. ამიტომ, ის უმკაცრესად დაკითხეს, მაგრამ კატეგორიულად უარყო, ესეც სიმთვრალის ბრალია, თორემ ძველ ოჯახს არ დავტოვებდი, მეორე შარს კიდევ ცხოვრებაში არ ავიკიდებო.

დაკითხეს მეგობარი გოგოც და მანაც იგივე გაიმეორა, გამორიცხულია, ჩემს ქმართან რამე ჰქონოდა, როგორც ვიცი, ვიღაც გაიცნო რესტორანში, შემდეგ იმ ვიღაცამ ბინაში დაპატიჟა, დილით ერთად გაეღვიძათ და მას შემდეგ, ის კაცი აღარ უნახავს. მომავალ ბავშვს კი ბედის საჩუქარს ეძახდაო, თუმცა იყო ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც დაქალმა უმნიშვნელოდ ჩათვალა, მაგრამ მაინც თქვა.

კრიმინალი ძმის გამოჩენის შემდეგ, გარდაცვლილმა მეგობარს გაუმხილა, რომ შემნახველი სალაროდან მთელი ფულის მოხსნას აპირებდა და სურდა, ძმისთვის მიეცა, რათა ის ქალაქიდან წასულიყო და მას დახსნოდა. გადაამოწმეს ბანკში და მართლაც, გოგონამ მთელი დანაზოგი, დაახლოებით, 1 800 მანეთი მოხსნა, თუმცა ეს თანხა თან არ აღმოაჩნდა და რაც მთავარია, არც ძმამ იცოდა ამ ფულის შესახებ.

უფრო მეტიც, 1 800 მანეთი რომ ჰქონოდა, ძმაკაცთან ერთად, „კილკასა“ და ჩამოსასხმელ არაყზე არ იქეიფებდა. გასარკვევი იყო, კიდევ ვინ იცოდა, რომ გოგონას თანხა უნდა მოეხსნა? დაქალმა გონებას ძალა დაატანა და გაიხსენა, რომ იმ დროს, მასთან სახლში, ქმრის უფროსი შვილი, 21 წლის ბიჭი იმყოფებოდა, თუმცა საეჭვო იყო, მას მკვლელობასთან რამე კავშირი ჰქონოდა.

მართლაც, ბიჭი არაფერში იყო შემჩნეული, რიგითი სტუდენტი გახლდათ და სამეგობრო წრეც ზუსტად ისეთი ჰყავდა, როგორიც თავად იყო – არაფრით გამორჩეული და კრიმინალისგან შორს მყოფი. იმის გამო, რომ გამოძიებას არც სხვა ვერსია ჰქონდა და არც სხვა ეჭვმიტანილი ჰყავდა, სწორედ ამ 21 წლის ბიჭის თვალთვალი დაიწყო.

თვალთვალმა პირველი დღეების განმავლობაში არაფერი მოიტანა, შემდეგ კი ბიჭმა მოულოდნელად მოტოციკლი იყიდა და შენაძენის აღსანიშნავად, რესტორანში ხუთი მეგობარი დაპატიჟა. რაც მთავარია, შენაძენი ოჯახს დაუმალა და მოტოციკლს ღამით, მეგობრის „გარაჟში“ ტოვებდა. სამართალდამცავებმა დააკავეს და ბინის ჩხრეკის ორდერიც მოიპოვეს. ჩხრეკისას, ბიჭის ოთახში, გარკვეულ თანხასთან ერთად, ბანკის ის ლენტაც აღმოაჩინეს, რომელზეც თანხის გაცემის დრო და ოდენობა ეწერა. ეჭვს აღარაფერი იწვევდა – მკვლელი ის იყო.

„ყური მოვკარი, როგორ თქვა ჩემი დედინაცვლის მეგობარმა, აქედან ბანკში მივდივარ, მთელი დანაზოგი უნდა მოვხსნა, არადა, ფულს ბინისთვის ვაგროვებდიო. მეგონა, დაახლოებით, 7-8 ათასი მანეთი იქნებოდა და ვიფიქრე, ორსულ ქალს ჩანთას გავტაცებ-მეთქი. სალაროდან ფულის გამოტანის შემდეგ, ის მოულოდნელად სკვერში შევიდა, განაპირა სკამზე დაჯდა და მჟავე კიტრის ჭამა დაიწყო, თან აქეთ-იქეთ იხედებოდა. მეგონა, ძმა უკვე დაბარებული ჰყავდა, ამიტომ ქამარი შევიხსენი, უკნიდან მივეპარე, ყელზე შემოვაჭდე და ჩანთას დავწვდი. ამ დროს მომხედა და მიცნო, სხვა გზა აღარ მქონდა, დანა მოვიქნიე და ჩავარტყი, მერე ჩანთა ავიღე და გავიქეცი“, – ასეთი იყო დაკავებულის მონაყოლი.

ვერ გეტყვით, რა გაითვალისწინა სასამართლომ, მაგრამ ფაქტია, რომ ორსული ქალის მკვლელობაში ბრალდებულს მხოლოდ 12 წელი მისცეს. სავარაუდოდ, საქმეში დაკავებულის მამა ჩაერია და რაც მთავარია, დაზარალებულის ინტერესებს სასამართლოში, სახელმწიფოს მიერ წარგზავნილი ადვოკატი იცავდა, რომელსაც გარდაცვლილის მხრიდან არავინ აწუხებდა და ზედმეტ კითხვებს არ უსვამდა.

ბათო ჯაფარიძე

მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის მზადება მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიდიოდა. რუსეთის დედაქალაქში უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები იყო მიღებული. მილიციის თანამშრომლებმა კრიმინალურ სამყაროს პირდაპირ გამოუცხადეს, რომ ოლიმპიადის მიმდინარეობისას, ნებისმიერი მცირე დანაშაულიც კი უმკაცრესად დაისჯებოდა და დაკავებულებს გრძელვადიან სასჯელს მისცემდნენ. ადგილობრივი მილიციის გარდა, რუსეთის დედაქალაქში დანარჩენი რესპუბლიკებიდანაც წაიყვანეს თანამშრომლები. სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული ოპერმუშაკები მორიგეობდნენ ყველგან, დადიოდნენ 24 საათის განმავლობაში და ხმამაღალ საუბარზეც კი რეაგირებდნენ. საბჭოთა კავშირს უნდა დაემტკიცებინა, რომ მსოფლიოს ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა იყო და კრიმინალი, უბრალოდ, არ არსებობდა.

კინოსტუდიის მხატვარმა 19 წლის გოგონა ჯერ მოკლა, შემდეგ კი გვამი დაკბინა

საზარელი კრიმინალური ისტორია, რომელსაც საბჭოთა მილიციამ გრიფით „საიდუმლო“ დაადო

ჰოდა, ოლიმპიადის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, შუაგულ მოსკოვში, ერთმანეთს შემთხვევითი გამვლელი და მეეზოვე წაეკიდნენ. საქმე მიტოვებულ ჩემოდანს ეხებოდა, რომელიც ხეზე იყო მიყუდებული. მეეზოვე, დაახლოებით, ერთი საათი აკვირდებოდა, მიაკითხავდნენ თუ არა ჩემოდანს, თან მიახლოებისაც ეშინოდა, აქაოდა, ბომბი არ იყოსო. ამ ფიქრებში იყო, როცა ვიღაცამ გამოიარა, ჩემოდანს თვალი ჰკიდა, მიიხედ-მოიხედა, შემდეგ კი დასწვდა და გზა განაგრძო. მეეზოვე მიხვდა, მისი ნადავლი სხვას მიჰქონდა და უცხო მამაკაცს ხელში სწვდა. ჩხუბი დიდხანს არ გაგრძელებულა, გადაცმული თანამშრომლები იქაც იყვნენ და ორივე მოჩხუბარი განყოფილებაში გადაიყვანეს. გზაში ორივე ამტკიცებდა, ჩემოდანი ჩემიაო, მაგრამ როცა გახსნეს, ორივემ უარყო – პირველად ვხედავო. ჩემოდანში ქალის დანაწევრებული სხეული იდო.

„ექსპერტიზის დასკვნით, სხეული ახალგაზრდა გოგონას, მაქსიმუმ, 20 წლისას ეკუთვნოდა. ამოსაცნობი ნიშანი არ ჰქონდა, მაგალთად, იარა ან დიდი ზომის ხალი. დაკავებულები მეორე დღესვე გაათავისუფლეს, რადგან ცელოფანზე, რომელშიც სხეული იდო, თითის ანაბეჭდები იპოვეს, ისინი კი არცერთ მათგანს არ დაემთხვა. იმავე ექსპერტის ცნობით, სხეული დაკბენილი გახლდათ და რამდენიმე ადგილზე, ხორცი მოკბეჩილიც იყო“, – გვიყვება რუსეთში მომხდარ შემზარავ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი, რომელიც სხვა ქართველ კოლეგებთან ერთად, მოსკოვში, სწორედ ოლიმპიადისთვის მიავლინეს.

რა გამოდიოდა? – საბჭოთა კავშირში, სადაც დანაშაული არ ხდებოდა, ვიღაც კანიბალი დადიოდა და ახალგაზრდა გოგონებს კლავდა? მხოლოდ მოკვლას ვინ ჩივის, ჭამდა კიდეც. საქმეს გრიფით „საიდუმლო“ დაადეს და პირად კონტროლზე აიყვანა, როგორც უშიშროების, ისე შინაგან საქმეთა მინისტრმა.

ორი დღის შემდეგ, განყოფილებაში მოხუცი ქალი მივიდა, რომელმაც თქვა, რომ სამი დღის წინ, მისი 16 წლის შვილიშვილი გაქრა და მისი ასავალ-დასავალი არ იცოდა. მოხუცს აუხსნეს, რომ იპოვეს გოგონას სხეული და ამოსაცნობად წაიყვანეს. ასაკის გათვალისწინებით, ამოცნობას გამოცდილი ექიმებიც ესწრებოდნენ, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხუცისთვის სამედიცინო დახმარება გაეწიათ. ქალმა დანაწევრებულ გვამს დახედა, მხოლოდ ერთადერთი სიტყვა თქვა – „ღმერთო!“ და... გულის შეტევამ მოხუცი იქვე მოკლა, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს.

რაც მთავარია, სამართალდამცავები ვერ მიხვდნენ, იცნო თუ არა ქალმა შვილიშვილი. სამაგიეროდ, გაჩნდა იდეა, რომ მის სახლში წასულიყვნენ იმის იმედად, რომ დაკარგული გოგონას სურათი ენახათ, წავიდნენ კიდეც და... საღ-სალამათი გოგონა შინ დახვდათ. მან აუხსნა, მეგობრებთან ერთად, ქალაქგარეთ ვიყავი, ბებიასთვის რომ მეთქვა, არ გამიშვებდაო. გამოდიოდა, რომ გვამის ვინაობა კვლავ დაუდგენელი იყო.

„დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, მთელი აქცენტი სწორედ ოლიმპიადაზე იყო გადატანილი და ამიტომ, ამ საქმის გამოძიება ოთხ გამოცდილ მაძებარს მოგვანდეს ანუ მათ, რომლებიც კონკრეტულად მკვლელობის მიმართულებით ვმუშაობდით. ჩემს გარდა, ჯგუფში ბელორუსის, უკრაინისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც იყვნენ. ჯგუფის უფროსად ბელორუსი მაძებარი დანიშნეს – ძალიან გამოცდილი და ჭკვიანი კაცი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ექსპერტებმა ახალი დასკვნაც დადეს – გოგონას ფეხზე ძალიან კარგი პედიკური ჰქონდა გაკეთებული, ისეთი, როგორსაც სახლის პირობებში ვერ გაიკეთებდა და რაც მთავარია, ფრჩხილებზე უცხოური წარმოების ლაქი ესვა. შემოიარეს თითქმის ყველა სილამაზის სალონი, თუმცა ანალოგიურ ლაქს ვერსად მიაგნეს. სამაგიეროდ, მოსკოველმა გამომძიებლებმა მიასწავლეს, აჯობებს, ჩინოვნიკთა ცოლებს ჰკითხოთ, სად შეიძლება უცხოური ლაქით პედიკურის გაკეთება, ყველაზე კარგად, მათ ეცოდინებათო. მართლაც, რამდენიმე ასეთ სალონს მიაგნეს და მათ შორის, ერთ-ერთში, ახალგაზრდა, 20 წლის გოგონა მუშაობდა, რომელმაც დაადასტურა, ასეთი ლაქი მე მაქვს, პოლონელ სტუდენტებს ჩამოაქვთ და მათგან ვყიდულობო. მას გარდაცვლილის სხეული ანახეს და ტირილი დაიწყო, ჩემი მეგობარია, 19 წლის, ბოლო ვიზიტის დროს, ვიკამათეთ და აღარ მინახავსო. გარდაცვლილზე სამართალდამცავებმა ყველაფერი გაიგეს, ოჯახში კი ის იმიტომ არ მოიკითხეს, რომ... ერთი თვით, მშობლები მივლინებით სხვა რესპუბლიკაში გაუშვეს და გოგონა მარტო ცხოვრობდა. ისიც გაირკვა, რომ რომელიღაც ფილმის მასიურ სცენებში, გოგონას იღებდნენ.

„ამ დროს, ექსპერტიზის კიდევ ერთი დასკვნა წამოგვეწია. ჩემოდანს, რომელშიც გოგონას დანაწევრებული სხეული იდო, ბეჭდის ანაბეჭდი ეტყობოდა, თუმცა ძალიან მკრთალი. ამ ხნის განმავლობაში, ექსპერტები სპეციალური ხსნარებით, თუნდაც ერთი სიტყვის ამოკითხვას ცდილობდნენ და მოახერხეს კიდეც – „კინოსტუდია“. მივხვდით, მკვლელი სწორედ იმ გუნდში უნდა გვეძებნა, რომელიც ფილმზე მუშაობდა, თუმცა იქ მსახიობები, ასისტენტები, სხვადასხვა პერსონალი, მთლიანობაში, 200-ზე მეტი ადამიანი იყო. მისი მოკვლა კი ნებისმიერს შეეძლო, ქალსაც და კაცსაც, ამიტომ გამორიცხვის მეთოდით წავედით“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

გამორიცხვის მეთოდმა ახალი არაფერი მოიტანა. გადამღებ ჯგუფში საეჭვო არავინ ჩანდა, ამიტომ ყველაზე წესიერი ადამიანების ფრთხილი გამოკითხვა დაიწყეს. ერთ-ერთმა გოგონამ გაიხსენა, სწორედ იმ დღეს, როდესაც გოგონა გაქრა, მას ჩვენი მხატვარი ესაუბრებოდა, მერე კი ისიც დავინახე, აქედან ერთად გავიდნენ და როცა გაჩერებაზე ვიდექი, ტაქსით ჩამიარესო. გამომძიებლების ოთხეულს ყველაფრის უფლება ჰქონდა, ამიტომ ისინი მხატვარს, დაუპატიჟებლად დაადგნენ სახლში და ჩხრეკის ჩატარება ორდერის გარეშე დაიწყეს. მას არაფერი გაუპროტესტებია, მშვიდად იჯდა და უყურებდა, როგორ ათვალიერებდნენ სახელოსნოდ გადაკეთებულ სახლს სამართალდამცავები. მხატვარი მშვიდად საუბრობდა, პირველ სართულზე იმიტომ გადმოვედი, ამ მხარეს მზე ურტყამს და კარგად ანათებს სახელოსნოსო. ის იყო, ოთხეული წამოსვლას აპირებდა, როცა ერთ-ერთს გაახსენდა, პირველ სართულს სარდაფიც უნდა ჰქონდესო და მართლაც, იპოვეს. სწორედ ამ დროს დაკარგა მხატვარმა ფერი, ამიტომ ხელბორკილებით გამათბობელს მიაბეს, თავად კი სარდაფში ჩავიდნენ, სადაც სისხლიანი დანები და ნაჯახი იპოვეს. იქვე ეყარა გოგონას ტანისამოსიც.

„არ ვიცი, რა მემართება, ამ გრძნობას ვერ ვუმკლავდები. როცა გოგონა დავინახე, მივხვდი, რომ უნდა მომეკლა. ადვილად დავითანხმე დახატვაზე, ვუთხარი, რომ მის პორტრეტს გამოვფენდი. გარდაცვლილი სხეულის დაკბენის შემდეგ ვმშვიდდებოდი. ადრეც დამიკბენია ქალი, თუმცა არასდროს მომიკლავს“, – ასე ახსნა მხატვარმა, ევგენი ბოდრინმა (სახელი და გვარი შეცვლილი არაა) საკუთარი ქმედება.

საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსი ერთჯერად, განზრახ მკვლელობაზე დახვრეტას არ ითვალისწინებდა. სასწაული უნდა მომხდარიყო, ერთი მკვლელობის გამო, ვინმე რომ დაეხვრიტათ და ბოდრინის შემთხვევაში, ეს სასწაული მოხდა – მას სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯეს და ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, აღასრულეს კიდეც.

რაც შეეხება ფილმს, ზემდგომთა ბრძანებით, ყველა კადრი, სადაც გარდაცვლილი გოგონა ჩანდა, ახლიდან გადაიღეს, ხოლო კოსტიუმების მხატვრად სხვა დაიქირავეს. იმის მიუხედავად, რომ ფილმის ძირითად ნაწილში, მსახიობებს, სწორედ ბოდრინის ესკიზებით შექმნილი ტანისამოსი ეცვათ, ტიტრებში მისი გვარი არ ჩაუწერიათ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „ჰეროინი“ ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1977 წელს დაბადებული რ.ა. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა რ.ა. ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცურტავთან დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო 1 კგ. და 500 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ უცხოელი ტურისტის მიმართ განხორციელებული იძულების ბრალდებით თბილისის ერთ-ერთი კლუბის თანამშრომელი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისის პროკურატურასთან ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისის ერთ-ერთი კლუბის თანამშრომელი, 1980 წელს დაბადებული ე.ჩ. იძულების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 14 იანვარს, თბილისის ცენტრალურ უბანში მდებარე ერთ-ერთი კლუბის თანამშრომელმა ე.ჩ.-მ, ამავე კლუბის სტუმარს, გერმანელ ტურისტს, 1994 წელს დაბადებულ მ.ო.-ს შეკვეთის შეუსაბამო თანხა იძულების გზით გადაახდევინა. კერძოდ, ბრალდებულმა მ.ო. აიძულა და შეკვეთილი ლუდის ღირებულების ნაცვლად, გაცილებით დიდი თანხა გადაახდევინა.

საქმეზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პოლიციამ აღნიშნული კლუბი დალუქა, მოგვიანებით კი, ამავე კლუბის თანამშრომელი ე.ჩ. ბრალდებულის სახით დააკავა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს იძულებას – ადამიანისთვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას.

პოლიციამ ქვემო ქართლსა და აჭარაში ნარკოდანაშაულისთვის სამი პირი დააკავა – ამოღებულია 3 კილოგრამამდე „ჰეროინი“ და სხვადასხვა სახის ნარკოტიკი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციისა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, წარსულში ნასამართლევი სამი პირი: 1974 წელს დაბადებული მ.პ., 1986 წელს დაბადებული ა.მ. და 1967 წელს დაბადებული კ.გ. დააკავეს. მათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა ედებათ ბრალად.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მ.პ.-ის პირადი და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, 3 კილოგრამამდე „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს, ხოლო ა.მ.-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 100 გრამამდე „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკი.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლების მიერ დაკავებული გ.კ.-ის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია: „ჰეროინის“, „ბუპრენორფინისა“ და „მეტადონის“ შემცველი ნარკოტიკები, ასევე, ფული.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ ლაგოდეხში მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ლაგოდეხის რაიონული სამმართველოსა და დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1985 წელს დაბადებული გ.ბ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 13-იდან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა გ.ბ.-მ ყოფილი მეუღლე, 1984 წელს დაბადებული ნ.ჭ. ეჭვიანობის ნიადაგზე გაგუდა, რის შემდეგაც დანაშაულის დაფარვის მიზნით, საცხოვრებელ სახლში არსებული ბუნებრივი აირის გაზქურის ონკანი გახსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, გ.ბ. დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პოლიციამ აჭარასა და გურიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია სამი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, აჭარასა და გურიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და წესის დარღვევით საქართველოში შემოტანის ფაქტი გამოავლინეს. პოლიციამ ორი პირი – 1985 წელს დაბადებული ვ.ი. და 1989 წელს დაბადებული ს.ი. დააკავა. სამართალდამცველებმა, საბაჟო გამშვები პუნქტი ,,სარფის“ ტერიტორიაზე, ბრალდებულების შემოწმებისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: 3 ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 3 მჭიდი და 1 ვაზნა.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ზ.ხ. ოზურგეთში დააკავეს. მას ბრალად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა ედება.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს BLOW MINI MOD 2003-ის მოდელის პისტოლეტი, მჭიდი და 8 საბრძოლო ვაზნა.

დანაშაულები 3-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და საქართველოს საბაჟო საზღვარზე წესის დარღვევით შემოტანის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, ასევე, 214-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს.

ბაზაძემ ისტორია გადაწერა

ქართველმა მოფარიკავემ, სანდრო ბაზაძემ მსოფლიო თასი მოიგგო და გახდა პირველი მოფარიკავე ქართული სპორტის ისტორიაში, რომელმაც აასეთი დონის ტურნირზე გამარჯვება მოახერხა. გამარჯვება ორმაგად გვახარებს იმის გამო, რომ ფინალში სამდროს მეტოქე რუსი სპორტსმენი იყო, რომელიც ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ბაზაძემ საუცხოოდ იასპარეზა და საბოლოო ჯამში, მარტივად, 15:8 მოიგო.

ფინალამდე ქართველმა მოფარიკავემ სამხრეთ კორეელი ჯუნჰო კიმი 15:7 დაამარცხა. მეოთხედფინალში იტალიელ ჯოვანი რეპეტის 15:10 მოუგო, ხოლო ნახევარფინალში, ფრანგი ბოლად აპიტი ჩამოიცილა გზიდან.

ჭიკაძე მძიმე ბრძოლაში დამარცხდა

UFC-ის ქართველი მებრძოლი გიგა ჭიკაძე, კელვინ კატართან ხუთრაუნდიან ბრძოლაში, მსაჯთა ერთობლივი გადაწყვეტილებით დამარცხდა (50:45, 50:45, 50:44). ბრძოლა 25 წუთი გაგრძელდა და კატარმა ქულებით გაიმარჯვა. ეს მისი მე-7 მოგებაა UFC-ში. ეს ჭიკაძესთვის UFC-ში პირველი მარცხი იყო და ვაღიაროთ, რომ მსაჯების მიმართ პრეტენზიები არ უნდა გვქონდეს – პირველი რაუნდის შემდეგ, თითქოს, ჭიკაძე დაიღალა. სავარაუდოდ, გიგა თავად იტყვის, რა იყო დაღლის მიზეზი და გახლდათ თუ არა ბოლომდე მზად ამ ბრძოლისთვის, მაგრამ იმის თქმა კი ახლავე შეიძლება, რომ გიგასთვის სატიტულო ბრძოლამ გადაიწია. ამ ორთაბრძოლის მოგების შემთხვევაში, ქართველს ძალიან კარგი შანსი ჰქონდა, ქამრისა და ჩემპიონობისთვის ეჩხუბა, თუმცა...

„ღონისძიების მთავარი ბრძოლა იყო, წელი ახლა დაიწყო და უკვე წლის საუკეთესო ბრძოლის კანდიდატია. საოცარი ბრძოლა შედგა, ამ შეხვედრამ ყველას დაავიწყა კატარისა და მაქს ჰოლოუეის ჩხუბი. დღევანდელი ბრძოლის ბედი, კატარის მიერ, ბრუნში იდაყვით შესრულებულმა დარტყმამ გადაწყვიტა“, – განაცხადა UFC-ის პრეზიდენტმა, დანა უაითმა.

ქუმარიტაშვილმა ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა

ზამთრის XXIV ოლიმპიურ თამაშებს, ჩინეთის დედაქალაქი პეკინი, 4-20 თებერვალს უმასპინძლებს. მოციგავეთა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ქართველმა სპორტსმენმა, საბა ქუმარიტაშვილმა. ლიცენზიის ოფიციალური დამადასტურებელი დოკუმენტი საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთაშორისო საციგაო სპორტის ფედერაციიდან უკვე მიიღო. ქუმარიტაშვილი ასპარეზობაში 5 თებერვლიდან ჩაერთვება. საბა 2010 წელს, კანადის ოლიმპიურ თამაშებზე ტრაგიკულად გარდაცვლილი ნოდარ ქუმარიტაშვილის ბიძაშვილის შვილია.

უფრო ადრე, პეკინი-2022-ის ლიცენზიანტები გახდნენ საქართველოს ფიგურული სრიალის ნაკრების წევრები, რომლებიც თამაშებზე ოთხივე დისციპლინაში გამოვლენ: კაცებში – მორის ყვითელაშვილი, ქალებში – ალინა ურუშაძე, სპორტულ წყვილებში – კარინა საფინა და ლუკა ბერულავა, ხოლო სპორტულ ცეკვებში – მარია კაზაკოვა და გიორგი რევია.

კვარაცხელიას ცალკე ავარჯიშებენ

რუსული პრემიერ-ლიგის კლუბები მეორე წრისთვის მზადებას, ძირითადად, თურქეთში გადიან. თურქეთში იმყოფება ყაზანის „რუბინიც“, გუნდი, რომელშიც ხვიჩა კვარაცხელია თამაშობს. ის, რომ ქართველი შემტევი კლუბს ზამთრის სატრანსფერო სეზონში დატოვებს, არაერთხელ ითქვა და ახლა ეს მოსაზრება უფრო გამყარდა. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენებური, გუნდთან ერთად არ ემზადება და ცალკე, ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. როგორც გუნდის თავკაცმა, ლეონიდ სლუცკიმ განაცხადა, ხვიჩა ცალკე მარტივი მიზეზის გამო ვარჯიშობს – მას პირველი წრის განმავლობაში, დიდი დატვირთვები ჰქონდა და ძალების აღსადგენად, ახლა ცალკე ვარჯიში გადაწყდა.

„კვარაცხელიას გადაბირება ლონდონის „ვესტ ჰემს“ სურს და ეს კლუბში კარგად იციან. მთელ გუნდთან ერთად ვარჯიში და ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობის მიღება ტრავმის მიღების რისკს შეიცავს, ტრავმირებულ ფეხბურთელს კი არავინ იყიდის“, – წერენ რუსი ჟურნალისტები.

ის, რომ ხვიჩამ კარიერა, შესაძლოა, ნისლიან ალბიონზე გააგრძელოს, ჩვენც არაერთხელ დაგვიწერია, მაგრამ ახლა საქმე ისეა, წესით, ტრანსფერი მიმდინარე თვის ბოლომდე უნდა გაიჩარხოს.

არა – ჯოკოვიჩმა სააპელაციო სასამართლოც წააგო და ავსტრალიას ტოვებს

მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგანი, ნოვაკ ჯოკოვიჩი სამშობლოში ბრუნდება, მან ავსტრალიაში სააპელაციო სასამართლოც წააგო და შედეგად, მწვანე კონტინენტის დატოვება მოუწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წლის პირველი, დიდი მუზარადის ტურნირში, მოგების მთავარი პრეტენდენტი მონაწილეობას ვერ მიიღებს. სერბი ჩოგბურთელის გულშემატკივრები უკვე ალაპარაკდნენ, რომ ამას სპეციალურად ააკეთებენ, რათა ნოლემ ორ ლეგენდას – როჯერ ფედერერსა და რაფაელ ნადალს არ გადაასწროს. მოგეხსენებათ, სამივე სპორტსმენს დიდი მუზარადის ტურნირებზე ერთნაირი და ამავდროულად, რეკორდული მაჩვენებლები აქვთ – 20-20 მოგებული დიდი სლემი. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ჯოკოვიჩმა ძალიან კარგად იცოდა, ავსტრალიაში აცრის გარეშე რომ არ ჩაუშვებდნენ და ქვეყანაში მაინც ჩაფრინდა, ავსტრალიელებმა კი, კანონი ყველასთვის კანონიაო და, ვიზა გაუუქმეს.

„ისტორიაში არ არსებობს ჩოგბურთელი, რომელიც დიდ სლემზე მაღლა დადგება. ჩემი გადმოსახედიდან, ბევრი კითხვაა, რომლებზეც პასუხის გაცემაა საჭირო. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ მალე გაირკვევა ყველაფერი. ორი აზრი არაა, რომ ჯოკოვიჩს, როგორც პიროვნებას და როგორც სპორტსმენს, უდიდეს პატივს ვცემ. არ აქვს მნიშვნელობა, ვეთანხმები, თუ არა ბოლო ორი კვირის განმავლობაში, მის ჩადენილ ქმედებებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ავსტრალიის ღია პირველობა ჯოკოვიჩთან ერთად და ჯოკოვიჩის გარეშე, მაინც დიდებული იქნება“, – ეს განცხადება ნადალმა გააკეთა, რომელიც ჯოკოვიჩის გამოკლების შემდეგ, ტურნირის მოგების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად იქცა.

„რეალის“ ლეგენდა... „რეალს“ ემუქრება

ბედმა ისე ინება, რომ ჩემპიონთა ლიგის 1/8-ფინალში, ტურნირის ორი მთავარი ფავორიტი – „რეალი“ და „პსჟ“ ერთმანეთს გადაეყარა. სეზონის სტარტზე მადრიდული კლუბი მისმა კაპიტანმა და ლეგენდამ, სერხიო რამოსმა დატოვა და სწორედ პარიზულ კლუბს მიაშურა. შესაბამისად, ახლა მცველს ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მოუწევს გასვლა. გულშემატკივრებს მიაჩნიათ, რომ რამოსი მთელი ძალით არ ითამაშებს, რადგან გულში ნამდვილი „მადრიდისტაა“, თუმცა...

„მერჩივნა, „რეალს“ არ შევხვედროდით, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაბრუნება სიხარულის საბაბია. კოვიდის გამო, გუნდთან დამშვიდობება ვერ შევძელი და ყოფილ თანაგუნდელებს სიხარულით ვნახავ. ყველამ იცის, როგორ მიყვარს „რეალი“, მაგრამ ახლა „პსჟ“-ს ფეხბურთელი ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჩემს გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლაში დავეხმარო. პარიზული კლუბისთვის სასიკვდილოდ ვიბრძოლებ“, – განაცხადა რამოსმა და სასიკვდილოდ ბრძოლა რომ შეუძლია, იმავე „სამეფო გუნდში“ არაერთხელ დაუმტკიცებია.

საკამათო თემა – ოლიმპიური ჩემპიონი ჩვეულებრივი ადამიანია?!

12 თებერვალს, ამერიკაში, ტეხასის შტატის ქალაქ არლინგტონში, აშშ-სა და ირანის მოჭიდავეთა ნაკრებებს შორის ამხანაგური შეხვედრაა დანიშნული. ამ ორი ქვეყნის ურთიერთობიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რომ შეხვედრას ამხანაგური ხასიათი ნამდვილად არ ექნება და როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, უძლიერესი სპორტსმენებით გამოსვლას ეცდება. ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონი, გეიბლ დან სტივსონი, რომელმაც ტოკიოს ოლიმპიადის ფინალში, ბოლო 3 წამში დაამარცხა ჩვენი გენო პეტრიაშვილი, ტურნირში მონაწილეობაზე თანახმაა, ოღონდ სანაცვლოდ, 50 ათას დოლარს ითხოვს.

„მე გავხდი ოლიმპიური ჩემპიონი და მერე, რა? რიგითი ამერიკელივით ვცხოვრობ, არანაირი შეღავათი და განსაკუთრებული მოპყრობა არ მაქვს. მხოლოდ ჭიდაობით თავს ვერ ვირჩენ, ამიტომ ვსწავლობ, პროფესიას ვეუფლები და პარალელურად, ძალებს მებრძოლთა კლუბში ვცდი. იქ, სადაც მეტ ფულს იხდიან“, – განაცხადა სტივსონმა.

ოლიმპიური ჩემპიონი საუნივერსიტეტო ტურნირებში მონაწილეობს და ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ მინესოტას უნივერსიტეტმა ჭიდაობისა და სასწავლებლის სახელის დაცვის სანაცვლოდ, ის სწავლის გადასახადისგან გაათავისუფლა. არადა, სტივსონი მხოლოდ 21 წლისაა, მას უდიდეს მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მოჭიდავემ სხვაგვარად გადაწყვიტა, მხოლოდ ჭიდაობით ფონს ვერ გავალ, კარიერის დასრულების შემდეგ, პროფესია უნდა მქონდეს, რომ ვიჭიდაო და ოჯახი ვარჩინოო. ჩვენთან აშკარად განსხვავებული მიდგომა რომ არის ოლიმპიურ ჩემპიონებთან მიმართებაში, კარგად მოგეხსენებათ და ახლა თავად გადაწყვიტეთ, ამერიკული მოდელი სჯობს, თუ ქართული.

ვანო პავლიაშვილი

თამჩო

თამჩოს არ ვიცნობ... მასზე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი მეგობრის შვილის დაქალია...

იმ ამბებიდან, რასაც ჩემი მეგობარი მიყვება ხოლმე, ვასკვნი: თამჩო ჩვეულებრივი, ლაღი და მხიარული გოგოა, აი, ისეთი, რომელიც გულშიც კი არასოდეს გაივლებს, რომ უბედურია. ყოველ შემთხვევაში, გარეშემყოფები, ალბათ, ასე ფიქრობენ...

ჩემი მეგობრის შვილიც კარგი შერეკილია. რაც თავი მახსოვს, სულ ასეთია: ბავშვობაში ერთ პროვინციულ ქალაქში ცხორვობდა. ჰოდა, უცებ მოგზაურობა მოუნდა, დაჯდა თბილისის მატარებელზე და დედაქალაქში ჩამოვიდა. აი, აქ კი, დაიბნა – ამდენი მაღალსართულიანი სახლისა და ხალხის დანახვაზე, ველარ გაიგო, რა უნდა ქენა.

ცოტა ხანს, რკინიგზის სადგურში იყურყუტა.

მაშინდელმა მილიციამ შეამჩნია. მივიდა, ჰკითხა, შვილო, ვინ ხარ, რას ეძებო. ადგა ჩემი მეგობრის ეს შერეკილი პირმშო და „ძია მილიციელს“ ჩამოუკაკლა, ესა და ეს ვარ, ამა და ამ ქალაქიდან თბილისში სამოგზაუროდ ჩამოვედი, მაგრამ ვერ ვიგებ, სად უნდა წავიდეო. „ძია მილიციელმა“ ხელები შვილივით გაზრდილ ღიპზე შემოიწყო და სამწუთნახევრიანი პაუზის შემდეგ, შერეკილ მოგზაურს მკვახედ ჰკითხა:

– მშობლები არ გყავს?

– დიახაც, მყავს, – ამაყად მიუგო შერეკილმა, – დედაჩემი აქა და აქ მუშაობს და იცოდე, თუ დამიყვრებ, ვეტყვი და სამსახურიდან გაგაგდებსო!

„ძია მილიციელმა“ გოგონას თავზე ხელი გადაუსვა, შენ რა კარგი ვინმე ხარო...

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, შუაღამისას, ჩემს მეგობარს რკინიგზის სადგურის მილიციის განყოფილებიდან დაურეკეს, ქალბატონო, ეგებ, მობრძანდეთ და თქვენი ქალიშვილი წაიყვანოთო.

გაუსკდა გული ამ ჩემს მეგობარს, ჩემს 8-9 წლის ქალიშვილს რკინიგზის მილიციაში რა უნდა და შინიდან ისეთი თავქუდმოგლეჯილი გავარდა, მხოლოდ ქუჩაში გასულმა აღმოაჩინა, რომ საღამურის გამოცვლა დაავიწყდა...

რაღა ბევრი გავაგრძელო და, სულაც არ მიკვირს, რომ ჩემი მეგობრის შვილის დაქალი თამჩოც ჩემი მეგობრის შვილივით შერეკილია.

ისე, ხანდახან მგონია, რომ შერეკილები ყველაზე სევდიანები არიან.

გუშინ თუ გუშინწინ, ჩემი მეგობრის შვილმა სამსახურში შემომიქროლა; ჯინსის „შორტები“ ეცვა, ენერგეტიკულ სასმელს წრუპავდა...

იქოთქოთა, იქოთქოთა...

რაღაცნაირი მომეჩვენა.

– რა გჭირს-მეთქი?

– არაფერიო...

არ მოვეშვი..

– მომაწევინე და გეტყვი, რაც მჭირსო, – გარიგება შემომთავაზა.

– ქალი და სიგარეტი-მეთქი? – გავეხმურე.

– ნეტამც, შენო, – მადიანად გააბოლა, – წავიდაო, – წამოისროლა.

– ვინ წავიდა, ან სად-მეთქი, – დავიბენი.

– ერთი ადამიანი წავიდა ჩემი ცხოვრებიდანო...

– ეგეთ რაღაცებზე, როდის აქეთ ჯავრობ-მეთქი?

– არ ვჯავრობ, „პროსტა“, მე კი არ გავაგდე, თავისით წავიდა და ამაზე „ვჭედავო“...

გამეცინა...

იმანაც გაიცინა, თუმცა ეს უდარდელი სიცილი არ იყო...

– აბა, წავედიო, – პაპიროსი საფერფლეს მიასრისა...

მინდოდა, მეკითხა, თამჩო როგორ არის-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე...

...თამჩოც და ჩემი მეგობრის შვილიც შერეკილები არიან...

ჩემი მეგობარიც შერეკილია..

მეც შერეკილი ვარ...

კიდევ რამდენიმე შერეკილს ვიცნობ...

აუ, რა მაგარი იქნებოდა, რომ დედამიწაზე მხოლოდ შერეკილები ცხოვრობდნენ?!. მაშინ, ამ პლანეტას „დედამიწა“ კი არა, „შერეკილთა მიწა“ ერქმეოდა და... ადამიანებიც უფრო ბედნიერები ვიქნებოდით...

თამჩოს არ ვიცნობ, თვალითაც არასოდეს მინახავს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ თამჩო ამ დუნიაზე ყველაზე სევდიანი გოგოა...

ყველა შერეკილი, სინამდვილეში, სევდიანია, მაგრამ არ იმჩნევს...

გინდათ, თქვენც შერეკილი იყოთ?

კი ბატონო, რა პრობლემაა, ოღონდ ერთი პირობის შესრულება მოგიწევთ!

მზად ხართ?!

თუ დიახ, მაშინ, ახლავე, ამ წამს დაიწყეთ ფიქრი... გაფრენაზე.

და გახსოვდეთ:

ჩვენ, ყველანი, აუცილებლად გავფრინდებით და „შერეკილთა მიწას“ ზემოდან გადმოვხედავთ!

თამჩო შერეკილია...

ჩემი მეგობრის შვილიც შერეკილია...

ჩემი მეგობარიც შერეკილია...

მეც შერეკილი ვარ...

ჩვენ, ადამიანები, შერეკილები ვართ და... სიცოცხლე სწორედ ამიტომაცაა მშვენიერი!

დიახ, ჩვენ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გავფრინდებით, რადგან სხვა შემთხვევაში, გაფრენის სევდა ბოლოს მოგვიღებს!..

დაუსრულებელი დიალოგები

– მოგწერე... შემოგითვალე კიდეც, ავად ვარ-მეთქი... გელოდი... ახლაც გელი... ვიცი, საქმიანი ხარ, მაგრამ გული გაქვს... ვიცი, გიყვარვარ – ერთმანეთის მეტი არასოდეს არავინ გვყოლია... უჩემობა შენთვისაც ისეთივე ჯოჯოხეთური იქნება, როგორც ჩემთვის – უშენობა... ამიტომ, გპირდები, ვიდრე არ მოხვალ, ვისუნთქებ... მერე რა, რომ მტკივა?! შენთვის სამყაროსხელა ტკივილსაც ავიტან!.. მოხვედი, შვილო?..

– ჰო, აქ ვარ! როგორ ხარ, დე?

– მხნედ ვარ, შვი...

– დე... დედა... დე... დედაა...

...სახლი დაცარიელდა... დედამ პირობა შეასრულა: ვიდრე შვილი არ გამოჩნდა, სუნთქვა არ შეწყვიტა...

* * *

– რატომ დამიბარე?

– ვითომ, არ იცი...

– ისევ ის უნდა მითხრა?

– რა, ის?

– ის სულელური სიტყვა რომ გაქვს აჩემებული...

– სიყვარული არც სისულელეა და არც აჩემება...

– აუ, დაიწყო ისევ... წავედი, რა, და გირჩევ, ტვინი გამოირეცხო, ოკ?

– ვერ გპირდები...

– ანუ?

– ანუ, არაფერი... სიყვარული უკურნებელი სენივითაა, თუ შეგეყარა, მორჩა, გათავებულია შენი საქმე...

– რაა? ავად ხარ??? აქამდე, რატომ არ მითხარი...

– ?!

* * *

– ეს ქუჩა გახსოვს?

– აბა, რა?!

– ისიც გახსოვს, მთელი ღამე ფეხით რომ დავდიოდით?

– კი, მახსოვს...

– გახსოვს, რა შევფიცეთ ერთმანეთს?

– რა და, – ერთად მოვკვდეთო...

– და პირობაზე როგორ ხარ?

– ...

– რა, ენა გადაყლაპე?! როგორ ხარ, პირობაზე-მეთქი?

– ...

– მოღალატე ყოფილხარ... რატომ არ დამელოდე? ჩვენ ხომ დავიფიცეთ, რომ... კარგი, მეც მოვდივარ...

ვანო პავლიაშვილი

სამველ ხალათიანი

სომხურიდან თარგმნა
გელა გელაშვილმა

ბერია

ჩემთვის ბავშვობის გახსენება ძალიან რთულია, მითუმეტეს, იმ წლების შესახებ წერა. მოგონება მძიმე განცდებს ბადებს. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ერთ დღესაც ეს მოგონებები დაჭკნება და ემოციების გარეშე შევძლებ ფურცელზე გადატანას – გადასახლებაში მყოფი უდანაშაულო ადამიანების განცდილი ტანჯვისა და ჩემი დაკარგული ბავშვობის. ჯერჯერობით, ეს არ გამომდის. ამ წელს, 14 ივნისს, 1949 წლის სტალინური რეპრესიების 65-ე წლისთავი სრულდება და როგორც სულის ვალი, როგორც ათასობით რეპრესირებულის გაუგონარი ტანჯვა-წამების მიმართ ქედის მომხრელი, ჩემს თავს ვაიძულე, რომ ეს ფრაგმენტი დამეწერა.

... ჩემები, ჩემგან მალულად, ხშირად ჩურჩულებენ, საიდუმლოდ. ვხვდები, რომ რაღაც ძალიან საჭირო რამეზე საუბრობენ, რისი გაგებაც ჩემთვის არ შეიძლება. მათ თვალებში სიხარული ირეკლება, მოთოკილი აღტაცების სხივი. ლოგინში მყოფმა როგორ არ დავცქვიტე ყურები, მაგრამ ვერაფერი გავიგე, ერთადერთი სიტყვის გარდა – „ბერია“. რა კავშირი აქვს ჩვენი კარის მეზობლის, არამაისის (კაცის სახელი) ბიჭს, ჩემ მეგობარ „დიდთავა ბერიას“ ჩვენების უჩვეულო ჩურჩულთან? – ვერ მივხვდი. კიდევ უფრო მეტად უცნაური და მოულოდნელი აღმოჩნდა, როცა ორი დღის მერე, ტაიგადან ერთკვირიანი მორიგეობიდან დაბრუნებული მამაკაცების თანდასწრებით, ბერიას დედა – სათენიკი (ქალის სახელი) მთელი უბნის გასაგონად, ჩემი და ბერიას სხვა დანარჩენი მეგობარი ბავშვების წყევლას მოჰყვა.

– მიწა დაგაყარეთ, თქვენ ძალიან კარგები ხართ, რომ ჩემ შვილს ბერიას ეძახით? ძაღლიშვილებო!

– ერთი, ამათ უყურე, – ფანჯრიდან ცოლს გამოესარჩლა არამაისი, – სათითაოდ დაგაგლეჯთ ყურებს, ჩემს ბიჭს ამ სახელს თუ კიდევ დაუძახებთ... – თქვა და შიშჩამდგარი თვალებით ფანჯარა მიკეტა.

სათენიკი კი ხელებს შლიდა და აღარ ჩერდებოდა. რაღაც არაბუნებრივი იყო ამ ყველაფერში. ყვიროდა, ილანძღებოდა ისე, რომ თვალებში არ გვიყურებდა, გაბოროტება არ ეტყობოდა, რაღაცნაირად გასაცოდავებულიც კი ჩანდა. უჩვეულო იყო ჩვენების საქციელიც. დედა, დეიდა, ბიძა, მამა და პაპაც კი არ ეცადა ჩემს დაცვას, სათენიკის შეჩერებას. და როდესაც ხმაურზე საკმარისმა ხალხმა მოიყარა თავი, სათენიკი დემონსტრაციულად რუსულზე გადავიდა, განსაკუთრებით, ამ აურზაურის შემყურე სოფლის კომენდანტის დიდმუცელა ცოლსა და სიდედრს მიმართავდა:

– გოგო... სავსემ ხულიგანი... პაჩემუ, მაიუ სინუ ბერია ზავუტ?... სმეიუტსია შტოლი?.. მაიემუ სინუ იმია ესტ – ბორის... ერთი კიდევ ვნახო, რომ ჩემ შვილს თავისი სახელი არ დაუძახოთ, თქვენს თავებს ხელიდან ვერავინ გამაგდებინებს, ძაღლიშვილებო.

არავინ არაფერი თქვა. მდუმარედ იდგნენ და სათენიკს უსმენდნენ, რომელიც, თითქოს თავის ვალდებულებას იხდიდა – უნდა ელაპარაკა, ელანძღა, ჩვენ კიდევ ვალდებულები ვიყავით, დავსწრებოდით და გვესმინა... ერთადერთი, ვინც ღელავდა, ბერია იყო. დიდი თავი მხრებში ჩაერგო, შუაგულში მუშტებშეკრული იდგა და თვალებში ცრემლი ტბად ჩასდგომოდა.

– ბორის, წავედით სახლში. პაშლი დამოი, ბორის... – თქვა სათენიკმა, ფანჯრიდან მოთვალთვალე მეუღლეს გამარჯვებულის მზერით გახედა, ადგილზე დალურსმულ, გაწითლებულ ბერიას ხელი ჩასჭიდა და სახლში წაიყვანა.

ვახშმობისას, უფროსებმა ღრმააზროვანი მზერა გაცვალეს და პაპამ მე მომმართა:

– არ გიხდება ჩვენი შერცხვენა.

პურის ნაჭერი ხელში გამეყინა. ვერ მივხვდი. პაპამ კი დაამატა:

– იმ ბავშვს თავისი სახელი დაუძახეთ. შენ რომ სახელი შეგიცვალონ, მოგეწონება?.. ბორისი ჰქვია და ბორისი დაუძახეთ.

– კარგი, რაც იყო, იყო, – თქვა დედამ, – ჩემი ბიჭი გაგებულია, ამის მერე, ბორისს დაუძახებს.

მე არაფერი მითქვამს, მაგრამ ის დღე დიდხანს მოსვენებას არ მაძლევდა, ძილი დამიკარგა. კი, მაგრამ დიდთავას სახელი ხომ ბერია იყო? მას ხომ ყველა ბერიას ეძახდა? დედამისი – სათენიკიც, მამამისი – არამაისიც, დედაჩემიც, პაპაჩემიც, ყველა ხომ ბერიას ვეძახდით? ხუმრობდნენ კიდეც, რომ სათენიკი ერიდება ბერიას წყევლას, როცა ის რაღაცას აშავებს, რადგან დიდი ადამიანის სახელს ატარებსო. ახლა რა მოხდა?.. სათენიკი ილანძღება და დამნაშავეები კი ჩვენ ვართ, ბავშვები? ჩვენ ხომ მას წესიერად, სახელითაც არ მივმართავთ – ყოველთვის „დიდთავას“ ვეძახდით.

... მეტროსადგურ „ახალგაზრდულის“ შესასვლელთან შევხვდით. მან მიცნო. მოულოდნელად გადამეხვია და ჩემი სახელი ხმამაღლა იყვირა. დიდთავა იყო – უკვე გამელოტებული, გასუქებული, შეცვლილი. მზესუმზირის გამყიდველი ქალი გაკვირვებული გვიყურებდა – ერთმანეთს როგორ ვეხვეოდით და ვიცრემლებოდით.

– სახლში წავიდეთ, – შემომთავაზა, – ორ ნაბიჯზე ვარ. წავიდეთ, არანაირ მიზეზს არ მივიღებ, – ხელკავი მჭიდროდ გამომდო და გამიძღვა. კარი შეაღო თუ არა, ზღურბლიდანვე გასძახა:

– დედა, ნახე ვინ მოვიყვანე!.. თუ იცნობ?..

კორიდორის ბოლოს დაბერებული, დაპატარავებული, ერთ მუშტად გამხდარი სათენიკი გამოჩნდა. ყურადღებით დამაკვირდა, ტუჩები აუკანკალდა, ხელები გამომიწოდა:

– შვილო, შენ შემოგევლე...

გეგონება, მე მელოდებოდნენო. მაგიდა მაშინვე საჭმელებით გაივსო. მეუღლე – სასიამოვნო შესახედაობის შუშანიკი, კერძებს აწყობდა და ჩვენს საუბარს გაგებით ეკიდებოდა. იგრძნობოდა, რომ ოჯახის ავბედითი წარსული იცოდა და იმ ჭერქვეშ ციმბირის მოგონებები პირველად არ ესმოდა. სასტუმრო ოთახის კედელზე, მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული არამაისის სურათი ეკიდა – სერიოზული, ოდნავ შეშინებული გამომეტყველებით, ისეთი, როგორიც იყო, როგორიც ჩემს მეხსიერებაში დარჩენილიყო. ოთახში ბერიას ორი ვაჟიშვილი შემოვიდა – არამაისი და ბორისი.

– ბორისი? – გავიკვირვე მე, – ბიჭს შენი სახელი დაარქვი?

სავარძელში ჩაფლულმა მეგობარმა ლმობიერად, რაღაც უცნაურად გამიღიმა. მზერა მოულბა და მომეჩვენა, რომ თავისი დიდი, მელოტი თავი მხრებში კიდევ უფრო ღრმად ჩამალა.

– ჩემი სახელი არც ბერიაა და არც ბორისი, – როგორც იქნა ამოთქვა, – მე სიფანი მქვია (მთა თურქეთის ტერიტორიაზე, ე.წ. ისტორიულ დასავლეთ სომხეთში). სწორედ ამის გამო გადაასახლეს ჩვენები. მამაჩემი დაუბარებიათ, დაბეზღების წერილი უჩვენებიათ და ბღენძით უთქვამთ: „თურქეთს უცხადებ ომს, ჰა?.. სიფანი გინდა?“... ჩვენებმა, მათი შიშით და გადასახლებიდან თავის დაღწევის იმედით, „ბერია“ დამიძახეს და გამაფრთხილეს, რომ არავისთვის არაფერი მეთქვა, ხოლო როდესაც ბერია დააპატიმრეს...

– გამიხმეს ენა, შვილო, რა პირით გწყევლიდი, – შალის ფოჩების წვალებით თავი იმართლა სათენიკმა, – თქვენები, ყველა მეზობელი წინასწარ მყავდა გაფრთხილებული, რომ არ სწყენოდათ, სხვა რა უნდა მექნა, შვილო?

სათენიკი გაჩუმდა, მზერა მოოქროვილი ჩარჩოსკენ მიაპყრო, საიდანაც გარდაცვლილი არამაისი გვიყურებდა – სერიოზული და მუდამ შეშინებული. სიფანი კი კვლავ მხრებში თავჩარგული, მუშტებშეკრული, თვალებში ტბად ჩამდგარი ცრემლებით იჯდა, მუდამ ისეთი, როგორიც წლების წინ, როცა ბორისი გახდა, როგორიც ციმბირის იმ ცივ დღეს, როცა მამამისის „ტელეგრეიკაში“ ჩაცმული, მისივე კუბოს გვერდით იდგა.

ცოლის პაემანზე დაპატიჟება უბრძანეს

აშშ-ს ფლორიდის შტატში, ოჯახურ ძალადობაში ბრალდებულ მამაკაცს ცოლის პაემანზე მიპატიჟება დაავალეს. იმის ნაცვლად, რომ დამნაშავესთვის ჯარიმა ან შესაბამისი ვადით პატიმრობა დაეკისრებინა, მოსამართლე ჯონ ჰერლიმ, 47 წლის ბრალდებულ ჯოზეფ ბრეის განუცხადა, რომ ვალდებულია, დაბადების დღეზე, მეუღლეს ყვავილები აჩუქოს, მისალოცი ბარათი მიართვას და რესტორანშიც დაპატიჟოს. მართალია, სასჯელი უცნაურია, მაგრამ არც ისეთი, როგორც, მაგალითად, 100 ღორი – ეს სასჯელი სამოას რაგბის ნაკრების მწვრთნელს ლოთობისთვის დააკისრეს. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ბრეის დაავიწყდა, ცოლისთვის დაბადების დღე მიელოცა. თავიდან მათ ჯერ იჩხუბეს, მერე კამათი ცემა-ტყეპაში გადაიზარდა. ამ დროს კაცმა ცოლს ხელი ჰკრა, დივანზე დააგდო და ახრჩობდა. როგორც მოსამართლემ აღნიშნა, ინციდენტი უმნიშვნელო იყო და ქალსაც არ მიუღია არანაირი დაზიანება, ამიტომ ქმარს მკაცრი სასჯელი არ დააკისრეს.

ბავშვს სქესის შეცვლის ნება მისცეს

ხუთი წლის ბრიტანელი ბავშვი ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა მცხოვრებია, რომელსაც მედიკოსებმა „გენდერული იდენტურობის აშლილობის“ დიაგნოზი დაუსვეს. ზაკ ეივერის დედის თქმით, ის ჩვეულებრივი ბავშვი იყო და ძმასთან ერთად მანქანებით თამაშობდა, მაგრამ რაღაც მომენტში, პრინცესებიანმა მულტფილმებმა გაიტაცა, რის შემდეგაც, მისი მსოფლმხედველობა მკვეთრად შეიცვალა. სამი წლის ასაკში, ზაკმა დედას განუცხადა, მე გოგო ვარო. თავიდან მშობლებმა იფიქრეს, რომ ეს თამაში იყო და ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ ბიჭი მოითხოვდა, ის გოგოსავით გამოეწყოთ. როდესაც ბიჭუნა ფსიქოლოგთან მიიყვანეს, ერთგვარი ვერდიქტიც მოისმინეს: „თქვენს ბიჭს გოგოს ტვინი აქვს, ხოლო სხეული – ბიჭის“. როდის აისრულებს ზაკი ოცნებას და როდის გადაიქცევა გოგონად, ჯერჯერობით, არავინ იცის.

დაზღვევის ყველაზე უჩვეულო სახეობები

კომპანია Hullberry Insurance Company, რომლის შტაბ-ბინაც ამსტერდამში მდებარეობს, ჰოლანდიის მოქალაქეებს უჩვეულო რისკებზე დაზღვევას სთავაზობს. ამ ფირმამ ზედამხედველობის ორგანოებისგან უკვე მიიღო ნებართვა თავის ექსტრავაგანტურ მომსახურებაზე სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ, გერმანიაში. ახლა ადამიანებს, სულ რაღაც 12 ევროდ, შეუძლიათ დაეზღვიონ, მაგალითად, ლიფტში გაჭედვის ან ციხეში მოხვედრის გამო. გთავაზობთ, ამ უჩვეულო შეთავაზეების სხვა სახეობებსა და პირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეთ დაზღვევის მიღებისას:

ბენზინზე ფასის გაძვირებისას – თუ საწვავზე ფასი 15%-ზე მეტად აიწევს, 1000 ლიტრის შეძენის შემთხვევაში, დაზღვევა კლიენტს დამატებით ხარჯებს აუნაზღაურებს. ასეთი დაზღვევის ღირებულება წელიწადში 19.95 ევროა.

კარის ჩაკეტვისას – თუ სახლიდან ისე გამოხვალთ, რომ გასაღები დაგავიწყდათ და ამ დროს კარი ჩაგეკეტა, დაზღვევა აუცილებლად აგინაზღაურებთ ზარალს 100 ევრომდე იმის მიხედვით, კვირის რა დღეს და რომელ საათზე შეგემთხვათ ეს უსიამოვნება. ამ დაზღვევის ღირებულება 18 ევროა წელიწადში.

ლიფტში გაჭედვისას – იმ შემთხვავეაში, თუ ლიფტში გაიჭედეთ, კომპანია Hullberry დაკარგული დროის კომპანესაციის მიზნით, 75 ევროს გადაგიხდით. დაზღვევის ღირებულება 12-დან 28 ევრომდეა წელიწადში.

ლატარიაში წარუმატებლობისას – ვინც წელიწადში არანაკლებ 52-ჯერ ითამაშა ლატარია და ვერცერთხელ ვერ მოიგო, სადაზღვევო კომპანიისგან 2 500 ევროს მიიღებს. ამ დაზღვევის ღირებულება 12-დან 28 ევრომდეა.

მშრალი კანონისას – თუ ქვეყანაში შემოიღებენ მშრალ კანონს, ამისგან დაზღვეული კლიენტი კომპანიისგან, სანუგეშოდ 500 ევროს მიიღებს. ამ დაზღვევის წლიური ღირებულება 12-დან 28 ევრომდეა.

უცხოპლანეტელებისგან მოტაცების შემთხვევაში – „სადაზღვევო პრემია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს მისი ნების საწინააღმდეგოდ გაიტაცებენ დედამიწიდან უცხოპლანეტელები“, – ნათქვამია ხელშეკრულებაში. ამ დროს, დაზარალებულს 5 000 ევროს გადასცემენ, თუმცა ამისთვის საჭიროა ცნობები ექიმებისა და ავია-კოსმოსური ორგანოებისგან. ასეთი დაზღვევის წლიური ღირებულებაც 12-დან 28 ევრომდე მერყეობს.

უდანაშაულოდ ციხეში აღმოჩენისთვის – ვისაც ეშინია, რომ შემთხვევით, არაფრის გამო, გისოსებს მიღმა აღმოჩნდეს, შეუძლია, კომპანიასთან სადაზღვევო ხელშეკრულება გააფორმოს. თუ მართლაც ასე მოხდება, კომპენსაციის სახით, ის 500 ევროს მიიღებს. ამ დაზღვევის წლიური ღირებულება 12-დან 28 ევრომდეა.

თუ ქორწილის დღეს საკურთხეველთან უარი გითხრეს – რა თქმა უნდა, ასეთ დროს, ადამიანის დასამშვიდებლად 100 ევრო დიდი ვერაფერი საქმეა, მაგრამ თუ საკუთარ პარტნიორში დარწმუნებული არ ხართ, სჯობს, არ გარისკოთ და დაეზღვიოთ. ამ უჩვეულო დაზღვევის წლიური ღირებულება კვლავ 12-დან 28 ევრომდეა.

ფარული კამერით გადაღებისას – კომპანია გთავაზობთ, საკუთარ თავს ან მეგობრებს საჩუქარი გაუკეთოთ და სადაზღვევო პოლისი იქონიოთ, რომელიც მის მფლობელს ფარული კამერით გადაღებისგან დაიცავს. თუ ეს მაინც მოხდება, დაზარალებულს შეუძლია 1 000 ევრომდე თანხა მიიღოს. დაზღვევის წლიური ღირებულებაა 12-დან 28 ევრომდე.

სხვისი შვილი – შემთხვევა, როცა დედა ნამდვილად ცნობილია. საკითხავი ის არის, მამა ვინაა. მამაკაცებს, რომლებიც არ ენდობიან საკუთარ პარტნიორებს, ფირმა ასეთი რისკისგან დაზღვევას სთავაზობს. „რქების დადგმის“ შემთხვევაში, ისინი 500 ევროს მიიღებენ. დაზღვევის წლიური ღირებულება ამ შემთხვევაშიც 12-დან 28 ევრომდე მერყეობს.

ყავა – კანის ახალგაზრდობის სიდუმლო

ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ყოველდღიურად, ორი ფინჯანი ყავა კანის დაბერების პროცესს აფერხებს, რაც სასმელში არსებული ანტიოქსიდანტების წყალობითაა შესაძლებელი. ეს აღმოჩენა სკრენტონის უნივერსიტეტის სწავლულებს ეკუთვნით. მკვლევარები უარყოფდნენ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მზე და სუფთა ჰაერი ადამიანის ორგანიზმის ზოგიერთი სახის უჯრედის დაბერებას იწვევს. საქმე ისაა, რომ ჟანგბადი უჯრედის დაშლას პროვოცირებს, ქარს კი შეუძლია კანის დაჭკნობის პროცესი დააჩქაროს. თავის მხრივ, ანტიოქსიდანტები, რომლებსაც ყავა შეიცავს, ჟანგბადის საშიში ფორმების ანუ თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზებას ახდენენ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევების შედეგად, „ღვთაებრივი სასმელის“ სხვა პოზიტიური თვისებებიც აღმოაჩინეს. კერძოდ, ყავა თავის ტვინის მუშაობას აუმჯობესებს, რადგან იმ ნაწილზე ზემოქმედებს, რომელიც ყურადღებასა და მეხსიერებაზეა პასუხისმგებელი. მეცნიერების თქმით, ყავას შეუძლია ადამიანს სიბერეში თავიდან ააცილოს მეხსიერების დაკარგვა და დაბნეულობა, შეამციროს დიაბეტის რისკი, ასევე, ღვიძლის ცეროზის განვითარების ალბათობა.

მეფის ვაკანსია გამოაცხადეს

ინგლისის ქალაქ ბეროუ-ინ-ფერნესის საქალაქო საბჭომ კუნძულ პილ აილენდის მეფის (ან დედოფლის) ვაკანსია გამოაცხადა. ამ კუნძულზე მეფედ კურთხევას განსაკუთრებული წესი აქვს – მომავალი მონარქი ხის სამეფო ტახტზე ჯდება, ხელში იღებს ძველ ხმალს და იხურავს მუზარადს, რის შემდეგაც, მას თავზე ალკოჰოლს ასხამენ. პილ აილენდის ბოლო მეფე სტუვ ჩეტეუეი იყო, რომელიც 2007 წელს აკურთხეს. კუნძული ქალაქ ბეროუ-ინ-ფერნესიდან 800 მეტრში მდებარეობს. მეფის მოვალეობაში ბარისა და სასტუმროს მართვა და მე-14 საუკუნის სასახლის მოვლა-პატრონობა შედის. ტურისტები აქ მხოლოდ აპრილიდან სექტემბრამდე ჩადიან, როცა ქალაქსა და კუნძულს შორის ბორანი დაცურავს.

რა იწვევს თავის ტკივილებს?

ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი მდგარა ამ პრობლემის – თავის ტკივილის წინაშე. ცოტა ხნის წინ, ამერიკელმა სპეციალისტებმა სასარგებლო ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომლის დროსაც, თავის ტკივილის მიზეზი დაადგინეს და სპეციალური მეთოდიკაც შეიმუშავეს, რომელიც თავის ყველანაირი ტკივილის დაამებას უწყობს ხელს. სწავლულების მთავარი აღმოჩენა, რასაც ამ კვლევების დროს მიაგნეს, მოლეკულებია ადამიანის ორგანიზმში, რომლებიც არა მხოლოდ არსებობენ ჩვენში, არამედ „თავისთვის ცხოვრობენ“.

ამის ახსნა მარტივად შეიძლება – ამ მოლეკულების მხოლოდ მცირე ნაწილი არ ახდენს გავლენას ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და უსაფრთხოა ჩვენთვის. სხვა მოლეკულები კი უფრო აგრესიულები არიან და სერიოზულ გავლენასაც ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე. რაც შეეხება თავის ტკივილს, თუ დროთა განმავლობაში, ორგანიზმში გროვდება ძალიან ბევრი მიკროორგანიზმი, დამჟანგავი პროცესები იწყება – სწორედ ეს იწვევს თავის ტკივილებს. სამწუხაროდ, ასეთი მოლეკულების მთლიანად განადგურება შეუძლებელია, მაგრამ სპეციალისტებს ხელჩასაჭიდი მაინც აქვთ. იმისთვის, რომ თავის ტკივილების გამომწვევ მოლეკულებს თავი დავაღწიოთ, საჭირო ყოფილა საკმაოდ ხშირად და საჭირო რაოდენობით „ცე“-ვიტამინის მიღება. ამ გზით, დიდ შანსს აძლევთ ორგანიზმს, თავადვე გაანეიტრალოს ეს მოლეკულები.

ზამთრის დღესასწაულები შობადობას ზრდის

სიყვარულის, რომანტიკისა და არაჩვეულებრივი ვნებების პერიოდად, ტრადიციულად, გაზაფხული ითვლება. შესაძლოა, ეს ასეცაა, მაგრამ რაც შეეხება სექსუალურ ურთიერთობებს, აქ ლიდერი ზამთარია, თუმცა არა მთლიანად, არამედ, მხოლოდ დეკემბრის ბოლო და იანვრის დასაწყისი. მოსახლეობის სექსუალური აქტივობა სწორედ ამ პერიოდშია განსაკუთრებით მაღალი. ასეთი დასკვნები ადამიანის ბიორიტმების შემსწავლელმა ამერიკელმა სპეციალისტებმა გააკეთეს. ამ მოსაზრებას ისინი სპეციფიკური პროდუქციის გაყიდვების ზრდას უკავშირებენ. ახალი წლის პიკს, ბუნებრივია, სექტემბერში მაღალი შობადობაც უკავშირდება. ამერიკელ კოლეგებს გერმანელი და ბრიტანელი მეცნიერებიც ეთანხმებიან – მათთვისაც სავსებით ცხადია, რომ სწორედ ზამთარი უნდა მივიჩნიოთ სიყვარულის პერიოდად. რასაკვირველია, აქ უკანასკნელ როლს არ ასრულებს დღესასწაულები. სასიამოვნო კამპანია და ურთიერთობის სიხარული ხელს უწყობს უფრო მჭიდრო კავშირების წარმოშობას. გარდა ამისა, ზედიზედ რამდენიმე დასვნების დღე მასტიმულირებელიც კი გახლავთ ადამიანებისთვის, რომლებიც წლის უმეტეს დროს, სერიოზული პროფესიული თუ ფსიქოლოგიური დატვირთვის ქვეშ არიან.

ზამთრის ტრენდი – გაყინული შარვლები

ამერიკელებმა ზამთრის ყინვიანი დღეების გამხიარულების ახალი მეთოდი გამონახეს. მინესოტას შტატის ჩრდილოეთ ნაწილში, გაყინული შარვლების „ქანდაკებებს“ დგამენ. როცა ქუჩაში ისე ცივა, რომ ვერც იგუნდავებ, ვერც თოვლის კაცს გააკეთებ, ან უბრალოდ, ვერ გაისეირნებ დათოვლილ ქუჩებში, ისღა დაგრჩენია, გასართობად სხვა რამ მოიფიქრო. ასე მოიქცა ტომ გროტინგიც – გაყინული ქანდაკებების ავტორი.

„ამას, ძირითადად, ჩემი მეზობლის გასართობად ვაკეთებ, რომელსაც დიდად არ უყვარს ზამთარი, არადა, წლის ეს დრო ჩვენთან საკმაოდ გრძელია“, – ამბობს ტომი. ქანდაკების დასადგმელად, ის ჯერ ასველებს შარვლებს, მერე კი საჭირო პოზაში დგამს. ამ პროცესში, ყველაზე საინტერესოა შარვლების განთავსების ადგილის შერჩევა. ახალგაზრდა მამაკაცის ჩანაფიქრი ბევრ მინესოტელს მოეწონა და ახლა ქვეყნის ამ ჩრდილოეთ შტატში, სულ უფრო მეტი გაყინული „ქანდაკება“ ჩნდება.

ბეთჰოვენი ინსულტს აგარიდებთ

ოქსფორდის უნივერსიტეტის სწავლულებმა დაადგინეს: განმეორებადი 10-წამიანი რიტმი, რომელიც ისეთ კლასიკურ მუსიკალურ ნაწარმოებშია, როგორიცაა ჯუზეპე ვერდის „Va Pensiero“, ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია და ჯაკომო პუჩინის „Nessun Dorma“, არტერიული წნევის დარეგულირებას უწყობს ხელს და თავიდან აგაცილებთ გულსისხლარღვთა დაავადებებს. პაციენტისთვის საკმარისია, დღის განმავლობაში, მხოლოდ 10 წუთით მოისმინოს ამგვარი მუსიკა.

20-წლიანი გამოკვლევების შედეგები უნივერსიტეტის ცნობილმა კარდიოლოგმა, პიტერ სპეიტმა წარადგინა. მეცნიერის თქმით, კვლევებისას, პოზიტიური ეფექტი მხოლოდ ამ ნაწარმოებებს ჰქონდა. როკ-პოპ და სხვა კლასიკური მუსიკა კი მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენდა პაციენტების მდგომარეობაზე და პირიქით, მათ გულის კუმშვის სიხშირესაც უმატებდა.

შოკოლადი გულის დაავადებების წინააღმდეგ

გერმანელი მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შოკოლადი გულის დაავადებების განვითარების ალბათობასა და ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევის წარმოქმნას ამცირებს. როგორც აღმოჩნდა, მსგავსი ეფექტი მიიღწევა კაკაოს შემცველი შოკოლადის უნარით, დადებითი გავლენა მოახდინოს არტერიული წნევის მაჩვენებლების სტაბილიზაციაზე. სწავლულებმა ასეთი დასკვნები 20 ათასზე მეტ ადამიანზე ჩატარებული კვლევების შედეგად მიიღეს. კაკაო, რომელიც შავი შოკოლადის ძირითადი კომპონენტია, პოზიტიურ გავლენას ახდენს სისხლძარღვების ელასტიურობაზე. ეს შესაძლებელი ხდება კაკაოში არსებული ბუნებრივი ნივთიერებების – ფლავანოლის წყალობით.

ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად, დაახლოებით, 7 გრამ შოკოლადს მიირთმევენ, 40%-ით ნაკლებად რისკავენ გულსისხლძარღვთა დაავადებების წარმოქმნაზე მათთან შედარებით, რომლებიც ამ „პირის ჩასატკბარუნებლისგან“ თავს იკავებენ. კერძოდ, როგორც გერმანელი მკვლევარები ირწმუნებიან, ინსულტის მიღების ალბათობა შოკოლადის მოყვარულებს გაუნახევრდათ, მიოკარდიუმის ინფარქტის წარმოქმნის შესაძლებლობა კი 27%-ით შეუმცირდათ.

კრემი ტატუს მოსაშორებლად

წარუმატებელი, ან მობეზრებული ტატუს მოშორება შესაძლებელი იქნება კრემის საშუალებით. კანადელი სწავლულები გვპირდებიან, რომ ეს პროცესი უმტკივნეულო და ხელმისაწვდომი იქნება. კრემმა უნდა იმოქმედოს კანქვეშ არსებულ ცხიმოვან უჯრედისზე, სადაც თავმოყრილია მაკროფაგები – ისინი შთანთქავენ ტატუს გაკეთებისას მღებავ პიგმენტებს. კრემი ააქტიურებს ახალ მაკროფაგებს, რომლებიც იწყებენ ძველების შთანთქმას, შემდეგ კი ლიმფურ კვანძებში გადაადგილდებიან და თან მიაქვთ საღებავი. ლაზერისგან განსხვავებით, მაკროფაგები მიზნობრივად უტევენ მხოლოდ იმ უჯრედებს, რომლებიც საღებავ ნივთიერებებს შეიცავენ. მკვლევარები ირწმუნებიან, რომ მცირე ზომის ტატუს მოსაშორებლად საჭირო კრემის ღირებულება, დაახლოებით, 4 დოლარი იქნება. თუმცა, კანადელი სწავლულები აცხადებენ, რომ პროდუქტმა ჯერ კიდევ უნდა გაიაროს გამოცდა.

ვაკანსია „ადამიანი-კატის“ თანამდებობაზე

ავსტრალიის ქალაქ ბლარატის მცხოვრებმა, ქალბატონმა სოფიმ ინტერნეტში ვაკანსია განათავსა, რომლის დაკავების მსურველმაც მისი კატის როლი უნდა მოირგოს. მიზეზი ის არის, რომ სოფის ნამდვილი ცხოველის მოვლის დრო არ აქვს. ამ „თანამდებობის“ დაკავების მსურველმა კატის საკმაოდ რეალისტური კოსტიუმი უნდა ატაროს, უნდა გადაადგილდეს ოთხზე და ჩუმად იკნავლოს, რაც მის დამქირავებელს დაძინებაში დაეხმარება. ვაკანსიის შენიშვნაში აღნიშნულია, რომ თუ ამ ბოლო პირობას „კატა“ ვერ დააკმაყოფილებს, მისი ხელფასი, საათში 60 დოლარიდან – 30-45 დოლარამდე შემცირდება. რაც შეეხება საყვარელი „ოთხფეხა მეგობრის“ კვებას, ეს ახირებული ავსტრალიელი აღნიშნავს, რომ მზადაა, „კატა“ შესაბამისი კვებით უზრუნველჰყოს – ჯამით რძე დაუდგას და ორაგულიც მიართვას. თუმცა, ტრაპეზობასა და ტუალეტში სიარულს მხოლოდ მაშინ შეძლებს, როცა სოფი დაიძინებს.

ნიკოლსონი ბოლო დღეებს ითვლის

ბრიტანული მედიის ცნობით, პოპულარულ ამერიკელ მსახიობსა და რეჟისორს, 84 ჯეკ ნიკოლსონს მედიკოებმა დემენციის დიაგნოზი დაუსვეს. გამოცემები აღნიშნავენ, რომ მსოფლიო კინოს ვარსკვლავი, რომლიც ნახევარ საუკუნეზე მეტია, არ ჩამოდის ეკრანებიდან, ბოლო დროს, საჯაროდ აღარ ჩნდება. უკვე ერთი წელია, ის მხოლოდ საკუთარ ოჯახის წევრებთან ურთიერთობს – მას ქალიშვილი და ვაჟი პატრონობენ. ბრიტანული Express-ი, ნიკოსლონის გარემოცვაზე დაყრდნობით წერს, რომ ბოლო დროს, დაავადება მსახიობის გონებაზეც აისახება, თუმცა ფიზიკურად ის ფორმაშია. დემენცია დღითიდღე პროგრესირებს და ასეთი განვითარებით, მსახიობს დიდი დრო აღარ დარჩა – ჰოლივუდის ვარსკვლავი ბოლო დღეებს ითვლის, – წერს გამოცემა წყაროზე დაყრდნობით.

30 წლის შემდეგ ენა ამოიდგა

გაციების დროს, ისეთი გავრცელებული დაავადება, როგორიცაა ლარინგიტი, ხშირად ხმის დაკარგვით ხასიათდება, თუმცა მალე გაივლის ხოლმე. აშშ-ს მცხოვრები კი ამის გამო, მთელი 30 წლით დამუნჯდა და მხოლოდ ახლა შეძლეს მედიკოსებმა მისთვის ხმის დაბრუნება. შორეული 1991 წლის დასაწყისში, ბეტი ტრუფანტი, რომელიც მაშინ 34 წლის იყო, ძლიერ გაცივდა და თანდათან, ლარინგიტი ლარინგოტრაქეიტში გადაუვიდა – ჯერ ხმა ჩაეხლიჩა, მერე კი საერთოდ დაკარგა. ექიმმა დაამშვიდა, ორ-სამ კვირაში, ხმა ისევ დაგიბრუნდებაო, მაგრამ ბეტიმ სხვებთან ურთიერთობის მთავარი საშუალება სამუდამოდ დაკარგა.

„პრაქტიკულად, სამი ათეული წელი იზოლირებული ვიყავი და პატარა ქალიშვილსაც ჟესტებით ველაპარაკებოდი“, – ამბობს ქალბატონი ტრუფანტი. მედიკოსებმა განუცხადეს, რომ უძლურები იყვნენ და ხმას ვერ დაუბრუნებდნენ. მხოლოდ ახლა, რამდენიმე თვის წინ, ბეტიმ შემთხვევით, ტელევიზიით ნახა სიუჟეტი მის მსგავსად დაზარალებულ ქალზე, რომელსაც კლივლენდის სპეციალურ კლინიკაში უშველეს. აქ ბეტისაც დაეხმარნენ და სპეციალური ოპერაციის შემდეგ, 30 წლის წინ დაკარგული ხმა კვლავ დაუბრუნეს.

„პროკურორი“ რობოტები შექმნეს

ჩინელმა სწავლულებმა მსოფლიოში პირველი რობოტი შექმნეს, რომელსაც ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, ადამიანების დადანაშაულება და ბრალმდებლის პოზიციის დაკავება შეუძლია. ადგილობრივი მედიის ცნობით, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ „პროკურორს“, საქმის სიტყვიერი აღწერის შემდეგ, ბრალის წაყენება კანონთან შესაბამისობაში 97%-იანი სიზუსტით შეუძლია. მკვლევარებმა ეს „პროკურორი“ რობოტი შანხაის ერთ-ერთ პროკურატურაში გამოსცადეს. „ჭკვიანი“ მანქანის ავტორები ამბობენ, რომ ეს ტექნოლოგია ხელს შეუწყობს პროკურორების ყოველდღიური დატვირთვის შემცირებას, რაც მათ საშუალებას მისცემს, სამსახურში უფრო რთულ საქმეებზე გაამახვილონ ყურადღება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.